# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2012 წელი.

№175 (7051)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ცუდლუტი „სოციოლოგები“,



3

### ანუ როგორ უნდა გძულდეს სამშობლოს მომავალი!

## კოსოვოს მაგალითის გამოყენება აფხაზეთთან მიმართებაში, რუსეთის გარდა თავში არავის მოსვლია

2

## თბილისელები ქუთაისში ბინებს ვერ ქირაობენ



2

## ყვარელში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს სახლებში შეიარაღებული პირები შეუცვივდნენ

## ტომას მელია:

### საქართველოს მოქალაქეების გადასაწყვეტია, რომელი პოლიტიკური ძალებით დააკომპლექტებენ პარლამენტს



– ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ტომას მელიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მელიამ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რას ფიქრობს ამერიკელი დიპლომატი საქართველოს ხელისუფლების ბრალდებაზე ბიძინა ივანიშვილის პრორუსულობასთან დაკავშირებით.

„ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ მთავრობასთან, რომელიც საქართველოს მოქალაქეების მიერ დემოკრატიული გზით იქნება არჩეული“, – აღნიშნა თომას მელიამ.

ამერიკელმა დიპლომატმა თქვა, რომ ამერიკულმა დელეგაციამ ყველა პარტიისგან დაინახეს განწყობა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თაობაზე.

## არჩევნების წინ რეჟიმი საქართველოში თავის ჭეშმარიტ სახეს ავლენს

8

## არჩევნები საქართველოში: რუსეთის მკაცრი თამაში და დიპლომატიური დასავლეთი

## ჰეგემონი ქვეყნის მსოფლიო ბატონობის გეგმა



5

ვითარება

# თბილისელები ქუთაისში ბინებს ვერ ქირაობენ

**ქუთაისში თბილისიდან ჩასულები ბინებს ვერ შოულობენ. ამ შაბათ—კვირას პარლამენტის აპარატის რამდენიმე თანამშრომელი ქუთაისში ბინის დასაქირავებლად იყო ჩასული, თუმცა, უშედეგოდ. პარლამენტის სიახლოვეს საშუალო დონის ბინის დაქირავება თითქმის უკვე შეუძლებელია, ქუთაისის ცენტრში კი ბინები საგრძნობლად გაძვირდა.**

ქუთაისში, პარლამენტის სიახლოვეს, ირაკლი აბაშიძის გამზირზე, ადრე ბინის დაქირავება თუ 50 ლარი ღირდა, ახლა 300 ლარიდან იწყება. გარემონტებული და კეთილმოწყობილი ბინის დაქირავება კი მინიმუმ 300 დოლარიდან იწყება.



წლების წინ, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან ახლოს სამოთახიანი ბინის ყიდვა 15 ათას დოლარად შეიძლებოდა, ახლა კი ფასი 60 ათასიდან იწყება.

ამდენად, იმ თანამშრომლებს, რომლებსაც თბილისიდან ქუთაისში სამუშაოდ გადაბარგება მოუწევთ, საკმაოდ დიდი გარჯა ელით, რომ ბინები იქირაონ. ჯერჯერობით, პარლამენტის აპარატის თითქმის ყველა თანამშრომელს აიმედებენ, რომ ქუთაისში სამუშაოდ წაიყვანენ. არადა, მათ ნაწილს სამსახურს ან აღარ შესთავაზებენ, ან ვისაც შესთავაზებენ, მათი ნაწილი თავად იტყვის უარს, რადგან ბინის დასაქირავებლად ხელფასის დიდი ნაწილის გადახდა მოუწევთ. ამას დაემატება ქუთაისიდან თბილისში, ოჯახში ჩამოსასვლელად მგზავრობის თანხები, რაც მათ შემოსავალს საკმაოდ დაარტყამს.

ეს საკითხი მძიმედ არ აისახება მომავალი დეპუტატების ჯიბეებზე, რადგან მათ ჯერ ერთი მაღალი ხელფასები ექნებათ და მეორეც, მომავალ პარლამენტში საკმაოდ ბევრი შეძლებული მოხვდება, რომელთაც ეს პრობლემა საერთოდ არ შეაწუხებთ.

პარლამენტის აპარატში ახლა დაახლოებით 600-მდე თანამშრომელი მუშაობს, ყველა მათგანი ერთი ამოცანის წინაშე დგას, ან თბილისში მოძებნოს ახალი სამსახური ან ქუთაისში საცხოვრებელი ბინა.

სანამ აპარატის თანამშრომლები ამ ამოცანის გადაჭრის წინაშე დგანან, პარლამენტში სხდომათა დარბაზის ნგრევა მიმდინარეობს. პარლამენტის სხდომათა დარბაზში აღარ არის მაგიდები, სპიკერატში არსებული ტრიბუნები მთლიანად მოშლილია და ბოლო დღეების განმავლობაში ე.წ. „ბალგარკის“ ხმა ისმის.

ამ კვირის ბოლოს სხდომათა დარბაზის დემონტაჟის პროცესი დასრულდება, რის შემდეგაც პარლამენტში არსებული ბიუროს დარბაზის ნგრევა დაიწყება.

From.ge

SIC!

**საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების მისიამ გუშინ პრიშტინაში კოსოვოს სრული დამოუკიდებლობა აღიარა. რამდენად შეიძლება აღმოჩნდეს ეს გადაწყვეტილება საფრთხის შემცველი აფხაზეთთან მიმართებაში და ხომ არ ფიქრობს საერთაშორისო საზოგადოება, რომ აფხაზეთთან მიმართებაშიც შესაძლებელია მსგავსი მიდგომის გამოყენება? ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ფიქრობს, რომ კოსოვოს მაგალითის გამოყენება აფხაზეთთან მიმართებაში, რუსეთის გარდა თავში არავის მოსვლია და საერთაშორისო საზოგადოებას არა ერთი არგუმენტი აქვს იმის განსასხვავებლად, თუ რა ურთიერთგამომრიცხავი მიდგომებია აფხაზეთისა და კოსოვოს მიმართ.**

# კოსოვოს მაგალითის გამოყენება აფხაზეთთან მიმართებაში, რუსეთის გარდა თავში არავის მოსვლია

ექსპერტი ფიქრობს, რომ რუსეთისთვის საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების მისიის ეს აღიარება კიდევ ერთი არგუმენტი იქნება იმისთვის, რომ მის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება გაამყაროს.

„როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობაზე საუბარი დაიწყო, რუსეთმა საკმაოდ გამჭვირვალე, მუქარის შემცველი განცხადებები გააკეთა და სწორედ აფხაზეთი იგულისხმებოდა ამ განცხადებების სამიზნედ. ევროპული ინტეგრაციის ფორუმმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ, საერთაშორისო კონფერენციაც მოიწვია ამ საკითხთან დაკავშირებით 2007 წელს. ჩვენ დეტალებში განვიხილეთ დიპლომატიურ კორპუსთან ერთად ეს პრობლემა და მივედით იმ დასკვნამდე, რომ თვალის დახუჭვა ასეთ საფრთხეზე იქნება საქართველოსთვის წამგებიანი. არ მგონია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი მიდგომა უნდა შეცვალოს კოსოვოს არ აღიარებასთან დაკავშირებით და რუსეთს კი შეუძლია კოსოვოს და აფხაზეთის აღიარება. საქართველოს და რუსეთის ინტერესები ამ შემთხვევაში ნამდვილად არ დაემთხვევა ერთმანეთს“, — აცხადებს ცისკარიშვილი.



ექსპერტის განმარტებით, რუსეთს საკუთარი შინაგანი საფრთხე აქვს იმ უამრავი ავტონომიების გათვალისწინებით, რომელიც მას საკუთარ ტერიტორიაზე დაუტოვა ამხანაგმა სტალინმა. სამხრეთ ოსეთის აღიარებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფალნი საერთაშორისო ასპარეზზე წუმპეში აღმოჩნდნენ, რადგან არ აქვთ პასუხი იმაზე, 2008 წლამდე უფრო მაღალი იურიდიული სტატუსის მქონე ჩრდილო ოსეთი, რატომ არის დღემდე ავტონომია რუსეთის შემადგენლობაში და უფრო დაბალი სტატუსის მქონე სამხრეთ ოსეთი, რატომ გახდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

„რუსეთს ამაზე პასუხი არ აქვს. ვლადიმერ პუტინი პირად საუბრებში არ მალავს, რომ სამხრეთ ოსეთი მისი თავის ტკივილია, მაგრამ გამოსავალი რუსეთის ხელისუფლებამ თავად უნდა მონახოს, რომელიც, როგორც ჩანს, უახლოეს წლებში არ აპირებს მისი უფლებამოსილების გადაბარებას ვინმესთვის“,— განმარტავს ცისკარიშვილი.

რაც შეეხება იმას, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი ხშირ და პირად შეხვედრებს მართავს არა მარტო იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, რომლებმაც აფხაზეთი აღიარეს, არამედ დასავლეთ სახელმწიფოების პოლიტიკურ თუ ბიზნესწრეების წარმომადგენლებთანაც, ექსპერტის განმარტებით, დასავლეთის მიერ აფხაზეთის აღიარების საშიშროების გამოსარიცხად, საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი თავი გამორიცხოს სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობისას, რადგან დღევანდელი საქართველოს პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ არის საკუთარი დაყრუების და დაბრმავების რეალობა და სიჯიუტე წაყენებულ წინაპირობებთან დაკავშირებით.

„ჩვენ ვსაუბრობთ მუდმივად ოკუპირებულ ტერიტორიებზე და არ გვინდა გავითვალისწინოთ ფაქტი, რომ ამ ტერიტორიებზე გარდა რუსი ოკუპანტებისა, ცხოვრობენ და იცხოვრებენ აფხაზები. მოსახლეობა არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს ჩვენი ხელისუფლებისთვის, მაგრამ ნუ იეჭვიანებენ აფხაზები და ოსები, რადგან არც ქართული მოსახლეობა წარმოადგენს რაიმე ღირებულს დღევანდელი ქართული ხელისუფლებისთვის“,-აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

From.ge

ინფორმაცია

## პუტინის საუკეთესო პარტნიორი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდია

**როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით რწმენა მას შემდეგ კიდევ ერთხელ განუმტკიცდა, რაც შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის განცხადებასთან დაკავშირებით მოსკოვის რეაქციას გაეცნო.**

**— გუშინ კიდევ ერთხელ განმიმტკიცდა რწმენა, რომ საქართველოში პუტინის საუკეთესო მეგობარი სააკაშვილი და მისი გუნდია, რადგან მათ პირობებში კრემლი ახერხებს ჩვენს ქვეყანაში ყველა თავისი ძირითადი ინტერესის მიღწევას და ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციას სდებს ბრალს რაღაცეებში, ეს უფრო დადგმულ სპექტაკლს ჰგავს, — განაცხადა უსუფაშვილმა.**

**რაც შეეხება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბილდტმა ოპოზიციას საქართველოში ვიზიტისას აქციებზე მიუთითა, უსუფაშვილის განმარტებით, კოალიციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე შვედეთის მთავარ დიპლომატს მსგავსი რამ არ უთქვამს.**

**„რა შეხვედრასაც მე ვესწრებოდი, მსგავსი არაფერი თქმულა“, — დასძინა უსუფაშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

ანგარიშსწორება

# ყვარელში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს სახლებში შეიარაღებული პირები შეუცვივდნენ

**ყვარლის რაიონის სოფელ თხილისწყაროში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სახლებში 10 სექტემბერს შეიარაღებული პირები შეიჭრნენ. „ღამის 2 საათი იყო. გადმოხტნენ დაკეტილ ჭიშკარზე. ხუთნი იყვნენ. იარაღები ჰქონდათ. ერთ-ერთი ლოგინში ავტომატით დამადგა და მეუბნება, რა იყო, რა მოწყვეტით წახვედით სოფლიდანო?“ — იხსენებს ელზა ტიღაშვილი კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში. ის და მისი თანასოფლელები 9 სექტემბერს, თელავში „ქართული ოცნების“ აქციაზე იმყოფებოდნენ.**

„ჩემი ქმარი ლოგინიდან ააყენეს, პოლიციიდან ვართ, ადექით, თქვენი დედაო. მე ვუთხარი, მაცალეთ, ავდგე-მეთქი და არ მაცალეს. მოშვერილი ჰქონდა იარაღი, ორლულიანი იყო რაღაცა. დღეს რა ხდებოდაო? რა უნდა ხდებოდეს, ივანიშვილის აქციაზე ვიყავით, რა გინდათ-მეთქი? რა გვინდა და შორენას ვეძებთო. ვინ შორენას, აქ რა უნდა-მეთქი. მეზობლებთან შესულან კიდევ, იქ ელზას ვეძებთო, იქ თემოს ვეძებთო. იქაც შეიარაღებულები შევიდნენ დაშინების მიზნით. ცხოვრებაში არ მომხდარა ასეთი რამ და რაღა აქციაზე რომ ვიყავით, მაშინ მოხდა? იარაღი ყველას ჰქონდა ერთის გარდა. რა იყო, დღეს რა დედაბუდიანად წახვედით მთელი სოფელიო. ყველა ვიყავით აქციაზე, ასაკოვანი ხალხი არ წამოსულა მარტო, სამი მარშრუტკა ვიყავით, ფეხზეც ვიდექით მარშრუტკაში“.

— ბავშვი ამიწიოკდა, ყვირილი დაიწყო. მეც ყვირილი დავიწყე, თქვე არაკაცებო, რა გინდათ, ჩემს ხმას ვისაც მინდა იმას მივცემ-მეთქი. ჩვენ ხმის ამბავზე არა ვართ მოსულები, შორენა გვაინტერესებსო. რაღაცეებს კითხულობდნენ, დადიოდნენ, მთელი სოფელი შეაღონეს. ერთი მე ვარ, რომ ვლაპარაკობ, ხალხს ეშინია, ვერ ლაპარაკობენ.

— რომ დავინახო, მე ამოვიცნობ იმას, ვინც ავტომატს მიშვერდა, პატარა ბიჭი იყო. რა ხდება-მეთქი? რა ხდება და შენ ქმარს ახლა დაბრიდავენო. უნდა ავდგე-მეთქი და ვერ ადგები, შენი დედაო“.

თხილისწყაროში, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სახლებში 10 სექტემბერს, გვიან ღამით, შეიარაღებული პირები რომ შევიდნენ, ამ ფაქტს ელზა ტიღაშვილის მეზობელი ქეთევან გაგნიძეც ადასტურებს.

„ქართული ოცნების“ მომხრეები ვართ და შეგვეშინდა, ხომ იცით რა ხდება ამ არჩევნებზე. ჩემმა მეუღლემ გამოიხედა, წნევადარტყმულია, 4 თვეა ვერ ლაპარაკობს. ავტომატიანი ეუბნება, უფროსო, რა გვარი ხარო. არაფერი არ დაუშავებიათ, შეგვეშალა, შეცდომით მოვედითო. ელზას სახლი რომელიაო. ამ უბანში სხვაგანაც ყოფილან. დილით ისევ მოვიდნენ, ყავა მოგვიდუღე თუ შეიძლებაო. დავალევინე და წავიდნენ, გამართული ქართულით ლაპარაკობდნენ“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ქეთევან გაგნიძემ.



დავით ქევხიშვილი, „ქართული ოცნებიდან“ ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი: „სოფელ თხილისწყაროდან უმრავლესობა იყო აქციაზე და იმ ოჯახის წევრები, რომლებთანაც შევიდნენ, დანამდვილებით ვიცი, რომ აქციას ესწრებოდნენ“.

სოფელში გავრცელებული ინფორმაციით, შეიარაღებული პირები ვინმე შორენას ეძებდნენ, თუმცა კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ შეიარაღებული პირები არ შესულან იმ სახლებში, სადაც მცხოვრებნი თელავში „ქართული ოცნების“ აქციაზე არ ყოფილან.

მომხდართან დაკავშირებით ყვარლის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის და შესაბამისად, არც გამოძიება მიმდინარეობს.

შეგახსენებთ: „ქართული ოცნების“ აქციაში მონაწილეობის გამო პრობლემები შეექმნათ თელავშიც, პანკისის ხეობიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს. 9 სექტემბერს, აქციის დასრულების შემდეგ ქისტ ახალგაზრდებს უცნობი პირები, როგორც „ქართული ოცნებიდან“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზურაბ ზვიადაურმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ნაცემია 10 ახალგაზრდა. ინციდენტის შედეგად 25 წლის ხიზირ ქუშანაშვილი სერიოზულად დაშავდა, მას ტვინის შერყევა დაუდგინდა და მკურნალობას გადის. მომხდარზე გამოძიება თელავის პოლიციაში დაიწყო, თუმცა ჯერ არავინ დაუკავებიათ.

**გელა მთივლიშვილი,**
**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

№175. ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2012 წელი.

# ცულლუტი „სოციოლოგები“,

## ანუ როგორ უნდა გძულდეს სამშობლოს მომავალი!



**ბრეჟნევის პერიოდში ერთი ანეკდოტური ამბავი გავრცელდა. მშრომელებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს კომპარტიის გენერალურ მდივანს ასე დაუმთავრებია თავისი გამოსვლა: „ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო უკეთესი გახდება!“, რასაც დარბაზიდან რეპლიკა მოჰყვა: „ჩვენი ცხოვრება როდისღა გახდება უკეთესი?“.**

ეს ამბავი გამახსენა ნაციონალურ ტელევიზიებში გაჩაღებულმა დემაგოგიურმა კამპანიამ სოციოლოგიურ კვლევებში ნაციონალების **„დამაჯერებელი უპირატესობის“** შესახებ. ამიტომაც უპრიანია, რომ ამ დიდ სიცრუეზე კიდევ ერთხელ შევჩერდე.

80-იან წლებში საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას სტატისტიკური ანალიზის გამორჩენილ სპეციალისტთან პროფესორ ხარინთან გავიარე კონსულტაცია. დღესაც მახსოვს მისი სარკაზმით ნათქვამი: „თქვენ, ექიმები ხშირად ძალზე ზერელედ ეკიდებით მონაცემების დამუშავებას და ანალიზს. დავუშვათ, რეანიმაციაში მყოფ მომაკვდავ პაციენტს ერთის მაგივრად რაიმე პრეპარატის გაორმაგებული დოზა გაუკეთეთ და პაციენტი გადარჩა. მაშინვე დაწერთ, რომ ეს პრეპარატი 100%-ით აუმჯობესებს გამოსავალს, აი თუ კი მეორე პაციენტი გარდაიცვლება, მაშინ დაწერთ, რომ პრეპარატი მხოლოდ 50%-ის შემთხვევებშია წარმატებული“. ამის მერე მრავალმა წელმა გაიარა. ბევრ მრავალწლიან კვლევაში მიმიღია მონაწილეობა და დღესაც ვმონაწილეობ, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ეს კვლევები ეფუძნებოდა მეტ ანალიზს, კვაზიექსპერიმენტულ მეთოდს, კონტროლირებულ კვლევას რანდომიზაციით ან მის გარეშე, რაც ამ კვლევების შედეგების მტკიცებულობების ხარისხსა და შესაბამის რეკომენდაციებს ამყარებდა. **ენდიაის** მიერ მოწოდებული ლამის ყოველკვირეული **რანდომიზირებული რეპრეზენტატიული კვლევა** (არ იციან ბატონო და რა ქნან!ძ ცალკე აღებულ სოციუმში ძალზე რთული საწარმოებელია და განსაკუთრებით კი მონაცემების ფრივოლური ინტერპრეტაციაა (რაზეც წლების წინ პროფესორმა ხარინმა საგანგებოდ მიანიშნაძსახიფათო. ამიტომაც არის, რომ სპეციალისტებში კვლევის მეთოდოლოგიამ, ამდენი მითქმამოთქმა გამოიწვია, ისევე როგორც არაკორექტულმა და მიკერძოებულმა კითხვარებმა და შესაბამისად ყალთაბანდურმა დასკვნებმაც. მიკვირს კიდეც, რომ ამაზე ქართველი სოციოლოგები პირდაპირ არ საუბრობენ. მე თუ მკითხავთ თუკი ვინმეს ძალუძს ამგვარი კვლევების ჩატარება, ეს საქართველოში არსებული მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე სპეციალისტების საქმე უფროა და არა ისეთი შარლატანების, რომლებიც წინა არჩევნების დროს გამოქვეყნებული სამარცხვინო ეგზიტპოლების „დამაჯერებელი დასაბუთების“ შემდეგ მინისტრობითა და ელჩობით „დასაჩუქრდნენ“, ზოგიერთი კი ამჯერად გაწეული „დახმარების“ გამო ნაციონალების საარჩევნო სიაში მოკალათდა.

**ენდიაის** ეს მორიგი ცულლუტობა რომ უფრო გასაგები იყოს კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ კვლევების ჩატარებისას და მისი შედეგების ინტერპრეტაციისას **განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვლევის მეთოდოლოგიას, მკვლევარის პროფესიონალიზმს, მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებას.** მეთოდოლოგიის თვალსაზრისით რეპრეზენტატიული, ანუ ისეთი კვლევა, როცა მცირე ჯგუფის გამოკვლევის ან გამოკითხვის შედეგები მთელ მოსახლეობაზე ექსტრაპოლირდება (ანუ ხდება შედეგების განზოგადოებაძ, ჩატარებული „კვლევების“თავისი მტკიცებულობების ხარისხით სარწმუნოობის მარაქაში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილს იკავებს. სხვათა შორის მე არ ვიცი, იცოდა ეს შალვა რამიშვილმა თუ არა, როცა ამ კვლევის უშუალო განმხორციელებელს ჩაეკითხა (რომელიც თურმე სოციოლოგიც კი არ იყოძ ჩატარებული კვლევის ღირებულების შესახებ და საკმაოდ დიდი ოდენობის თანხებიც (10 000, 20 000, 50 000 ლარიძ დასახელდა. პასუხი ჩემთვის და ალბათ ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც კი ოდესმე კვლევა ჩაუტარებია და შემდგომ მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზიც გაუკეთებია, რბილად რომ ვთქვათ, გამაოგნებელი იყო – „ზუსტად ვერ გეტყვით **(კვლევის ჩამტარებელი?!),** მაგრამ თქვენ მიერ დასახელებულ თანხებთან შედარებით ალბათ (!ძ მნიშვნელოვნად ნაკლები (?!ძ“. ამ დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ რეპრეზენტატიული, რანდომიზირებული კვლევების ჩატარებისას ერთ-ერთი მთავარი სირთულე, სარწმუნოობისათვის მისი უცილობელი **ხანგრძლივვადიანობის** გარდა, სწორედ **კვლევების სიძვირე** გახლავთ. **ამრიგად, ენდიაის კვლევის მეთოდოლოგია, რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები სარწმუნო არ არის, შესაბამისად არასწორია გამოქვეყნებული დასკვნები, რაც ამ კვლევების განმხორციელებელთა არაპროფესიონალიზმიდან პირდაპირ გამომდინარეობს. ამაზეა სწორედ ნათქვამი – არც კომპეტენცია აქვთ და კომპეტენტურებიც არ არიან!**

მეტიც, დიდი ეჭვი მღრღნის, რომ საერთოდ ტარდება კი ეს კვლევები რეალურად? აბა რას მივაწეროთ ესოდენ „ზუსტი დამთხვევა“, როცა ამგვარი „კვლევების“ ან „ეგზიტპოლის“ მონაცემებს აბსოლუტური სიზუსტით არჩევნების მონაცემების გამოქვეყნებისას უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისია ამტკიცებს?

ამიტომ ხომ არ იწურებოდა ოფლში პატივცემული ენდიაის ოფისის ხელმძღვანელი? ( ნამდვილად საცოდაობა იყო პირდაპირ ეთერში ნავაროს ყურება!ძ. უჭირს, ნამდვილად უჭირს ამ კაცს ნაციონალების „წარმატებულობის“ ეგზომ მაღალი პროცენტით ცულლუტური „გაპრავება“. გამომეტყველებაში, ეტყობა რომ ცრუობს, ბოლოს და ბოლოს ბრმა ხომ არ არის, ხედავს **საქართველოს ყველა კუთხეში მრავალათასიან აქციებზე საკუთარი ნებით** (არა ძალდატანებით, დაშინებით, ან სამსახურებიდან გათავისუფლების მუქარით მორეკილ ადამიანებს, რომლებსაც მათ გარდა დამატებით კიდევ 6 და 10 კაცის მოყვანას ავალდებულებენ, როგორც ეს ნაციონალების შეკრებებზე მუდმივად ხდებოდა და რამაც კულმინაციას ე.წ. „ყრილობაზე“მიაღწია!ძ **გამოსულ აზვირთებულ, გულანთებულ ხალხს, ვისაც ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ უკეთესი, სამართლიანი ცხოვრების იმედი ჩაუსახა**. მაგრამ რა ქნას, მასაც მისი პატრონი ჰყავს, რომელიც, შესაძლოა, ავალებს კიდევაც, რომ აუცილებლად სამი პოლიტიკური სუბიექტი უნდა იყოს მომავალ პარლამენტში. აქეთ კიდევ ნაციონალები ეჯაჯგურებიან. ვერაფრით ვერ გაიგეს, რომ ეს **თავისუფალი არჩევნებია,** რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში (თუკი ამის პრეტენზია გაქვს და „შუქურასაც“ გეძახიანძ, ხელისუფლებაში **„სამუდამოდ მინდა ყოფნა“**-ს ძახილი და ყველა დაუშვებელი ხერხის გამოყენება, დემოკრატიული სამყაროსათვის (მარტო ამერიკის პირველი პრეზიდენტის და „დემოკრატიის მამის“ ჯორჯ ვაშინგტონის მაგალითი რად ღირს!ძ გაუგებარი და ძალზე შემაშფოთებელია. ამიტომაც ჩამოდიან ასე ხშირად დასტა-დასტა კეთილმოსურნეები შორეული ამერიკიდან და ევროპიდან. ამიტომაც უკვე მუდმივად უსვამენ ხაზს, რომ **„ქვეყანას უჭერენ მხარს და არა ცალკეულ პიროვნებას“**. მათაც უკვე, ძალიან უჭირთ „მომსახურების ზონიდან გასულ“ პერსონალიებთან ურთიერთობა. ამიტომაც აპელირებენ იმაზე, რომ სწორედაც **„საქართველოს მოსახლეობამ უნდა გააკეთოს თავისუფალი არჩევანი“.**

ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს ხელისუფლებას, როცა ათასწლოვანი ისტორიის და უდიდესი კულტურის ხალხს ასე აბიაბრებს და მუდმივად ცდილობს დაბრიყვებულ-დაშინებული ჰყავდეს. ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს, თავისუფლებასა და არჩევანის უფლებას ეხება.

ამის სამაგალითო ნიმუში გახლავთ ის, რომ ქვეყნიდან დუხჭირი ცხოვრების გამო გასული მოსახლეობის 25 %-ზე მეტს **(1 მილიონზე მეტ ადამიანს),** ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედებების გამო **არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი ჩამოერთვა**. აბა სხვა რა ჰქვია იმას, როცა არჩევნებს სამუშაო დღეს – ორშაბათს დანიშნავ, რომ საზღვარგარეთ მხოლოდ დედაქალაქებში არსებულ საელჩოებში გახსნი საარჩევნო უბნებს, შესაბამისად იმ ქვეყნებში მრავალი ასეული კილომეტრით დაშორებულ სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე მრავალ ათას ჩვენ თანამოქალაქეს ხმის მიცემის შესაძლებლობას ფიზიკურად უსპობ, თანაც აუცილებელ წინასწარ რეგისტრაციას უწესებ, რასაც ადრე არასოდეს თხოვდი. მეტიც, ზოგ ქვეყანაში, სადაც საქართველოდან მიგრანტების განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა, მაგალითად რუსეთში ან კანადაში, საარჩევნო უბნებს საერთოდაც არ ხსნი. ამას ხელისუფლების კეთილი ნება ჭირდება მხოლოდ. ამისათვის კი ქვეყნიდან გასული მოსახლეობისათვის მარტივად, უქმე დღეს შეიძლებოდა არჩევნების გამართვა, მით უფრო, როცა ავღანეთში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ხმის მიცემას 25 სექტემბერს ატარებ. **ამას უზნეობა ქვია, რადგან ძალიან გეშინია, რომ ეს ელექტორატი შენ არ მოგცემს ხმას.**

მარაზმში ვართ ჩაცვენილები, როცა ვისმენთ, რომ „ღრუბელ-ღრუბელ გადაკეტილ ცაში“ მამაცი მფრინავის 8 წლის დიდმა ბებიამ საწოლის ქვემოდან სამშვიდობოს გაიყვანა „აცახცახებული, ოფლიან ხელებიანი, ლაჩარი სტალინი“. ამას ის გმირი მხედართმთავარი ბრძანებს, რომელმაც გორში მარტო თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე საფრანგეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები ქუჩაში მოულოდნელად საქვეყნოდ მიატოვა და... მოკურცხლა. ამ სამარცხვინო კადრებმა მსოფლიო მოიარა.

თქვენ რომ „სლოგანს“ ეძახით, ეს **წმინდა ილია მართალმა,** ერის ჭეშმარიტმა წინამძღოლმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ბრძანა: **„ერი, მამული, სარწმუნოება“**, რასაც **მეორე ბრძენმა ილიამ, უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა** დაამატა: – **„ადამიანი“**,. ხვდებოდა ილია ჭავჭავაძე, რომ ქვეყნის გადარჩენა მის განათლებაშია, ამიტომაც ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, იმას, რომლის აღდგენა დიახაც რომ საშური საქმეა დღესდღეობით. გლობალიზაციის აზვირთების გამო მოსალოდნელ საფრთხეებზე გვაფრთხილებდა **უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი** 1993 წელს საშობაო ეპისტოლეში: **„უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ ერის სულიერი ამაღლებისათვის, რომ სათანადოდ მომზადებულნი შევხვდეთ დასავლეთის ქვეყნების უცხო კეთილდღეობას, თორემ იმ მადლსა და თვითმყოფადობასაც დავკარგავთ, რაც წინაპართაგან რაღაც ფორმით დღემდე მაინც შევინარჩუნეთ“.** სწორედ განათლებული, ზნეკეთილი, მამულზე და ოჯახზე შეყვარებული, მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი და უფლის სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები გადაარჩენენ ქვეყანას და არა „33 გამოსახულებაში“ განცხოველებული მხოლოდ კომპიუტერის მცოდნენი.

საარჩევნო ყუთთან მისულმა თითოეულმა ადამიანმა შიში უნდა დაძლიოს, მათ შორის ნაცკოორდინატორების მიერ გამოგონილი ხმის მიცემის საკონტროლოდ ვითომცდა არსებული ვიდეოკონტროლის აბსურდული მითი, სრულად გააცნობიეროს ცულლუტი „სოციოლოგიური კვლევის“ აბსურდულობა და გაითვალისწინოს ასარჩევი პირის განვლილი ცხოვრების გზა, ე.წ. „ბექგრაუნდი“, როგორც „ატლანტიკადალეულებს“ უყვართ ხოლმე საუბარი. ამომრჩეველმა აუცილებლად უნდა გააანალიზოს ვინ როგორ მოდიოდა ამ გზაზე – სიცრუით, მოტყუებით, სიყალბით, დემაგოგიით, თუ სიმართლით წელში გამართული, ქვეშმოძმედებით გამორჩეული, შრომით დამძიმებული.

**ძალაუფლება, იღბალი და ქონება ძალზე მყიფეა, ხოლო ადამიანის სულს ამპარტავნობა და ბოროტება განსაკუთრებით აკნინებს. უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ ცხოვრება გრძელდება. მიმაჩნია, რომ ჩვენი ასპარეზი საქართველოა, რომლისთვისაც ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ სიყვარულით, პატიოსანი შრომით, სიმშვიდით, შემწყნარებლობითა და ზნეკეთილობით. ეს ჩვენი ვალია შვილების წინაშე.**

**გიორგი ბოჭორიშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს, ევროპის (EAU), საერთაშორისო (SIU) და ამერიკის (AUA) უროლოგთა ასოციაციების ნამდვილი წევრი, ევროპის უროლოგთა სკოლის (ESU) ლექტორი, ფულბრაიტის სტიპენდიატი.




## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმცია 2013 წლისათვის

[illegible]

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | | | | | |

# არ შეიძლება ერთდროულად ობიექტურიც იყო და ნეიტრალურიც

## „მაესტროს“ ერთი დღის ოთხი გადაცემის თაობაზე



**მხედველობაში მაქვს 31 აგვისტოს გადაცემები: „შალვა რამიშვილის დილა“, „არგუმენტები“, „სუბიექტური აზრი“, „პოლიტმეტრი“ და მათში მონაწილე „ქართული ოცნების“ ლიდერი ივანიშვილი,„კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი, „მემარჯვენეები“ — გამყრელიძე და კაციტაძე, და „ეროვნულ-დემოკრატი“ ჩახვაძე.**

მთავარი მიზეზი ჩემი გამოხმაურებისა გახდა ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის მიერ თერჯოლაში წარმოთქმული სიტყვიდან ამოგლეჯილი ერთი წინადადებისთვის კუდის გამობმა — პროვოკაციულ-რიტორიკული შეკითხვის დასმა და მიუღებელი (მისი უსაფუძვლობის გამო) შედარების გაკეთება ჟურნალისტ მერაბ მეტრეველის მიერ.

**„ნორმალური დემოკრატიული ქვეყნის აშენებას ორ ათეულ წელიწადში მოვახერხებთ...“** — ეს ნაწყვეტია ივანიშვილის გამოსვლიდან. ვინაც თავიდან ბოლომდე მოისმინა ან წაიკითხა იგი, არავის არ გასჩენია ეჭვი და, შესაბამისად, არც — კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იგულისხმებოდა პირველ პირში და მრავლობითში ნათქვამ „მოვახერხებთ“-ში. ცხადზე ცხადი იყო: იგულისხმებოდა ხალხი, საქართველოს მოსახლეობა, და არა — პირადად ივანიშვილი ან კოალიცია „ქართული ოცნება“ და მათი ყოფნა ხელისუფლებაში 20 წლის მანძილზე (სამწუხაროდ, თავად ბ-ნი ბიძინა არ ფიქრობს სამ წელიწადზე მეტხანს ხელისუფლებაში დარჩენას, თორემ ჩვენთვის უკეთესიც იქნებოდა — აგერ **20 წელია, რაც ფული იშოვა და არ გაფუჭებულა, და აწი რა წაახდენს, გამორიცხულია!).**

ჟურნალისტმა მეტრეველმა კი ისეთი ქვეტექსტები ამოიკითხა, ისეთი შორსმიმავალი კითხვა დასვა და შედარება გააკეთა, რომ ბ-ნი ბიძინა იძულებული გახდა „დილის გადაცემაში“ დამატებითი განმარტებები გაეკეთებინა, თან პარალელურად ბრალიც დაედო ჟურნალისტისთვის ზედაპირულობაში — „მას რომ ყურადღებით გადაეკითხა ჩემი გამოსვლა (გადაეხვია ჩანაწერი), მსგავსი შეკითხვა არ გაუჩნდებოდაო“, სავსებით სამართლიანად განაცხადა მან. ჟურნალისტის კითხვა-შედარებამ, რომელსაც ოდნავ ქვემოთ მოვიყვან, ძალიან გამაკვირვა (დარწმუნებული ვარ, ბევრი სხვაც), მაგრამ კიდევ უფრო დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც გაირკვა, რომ „ობიექტურ და ნეიტრალურ“ ჟურნალისტ მეტრეველს (როგორც იგი უწოდებს თავის თავს), თურმე, საერთოდ არ ჰქონია ივანიშვილის სიტყვა მოსმენილ-წაკითხული(!), და ეჭვები, შედარების ასოციაცია რომელიღაც სააგენტოების თუ ტელევიზიების (ცხადია, სახელისუფლებო!) მიერ მომზადებული 20-30-წამიანი „ამოჭრილი სინქრონის“ საფუძველზე გასჩენია.

ჩემთვის **ყოვლად წარმოუდგენელია, ჟურნალისტმა** (ნებისმიერმა და, მით უფრო, „კვირის პალიტრის“ წამყვანმა ჟურნალისტმა), **რომელიც პატივს სცემს მკითხველს** (მსმენელს, ტელემაყურებელს), ცხადია, — **თავის თავსაც და გასაკრიტიკებელ პიროვნებასაც, საჯაროდ აღიაროს, რომ მას მხოლოდ ერთი თუ ორი წინადადება აქვს მოსმენილი ამ პიროვნების 40-წუთიანი(!) გამოსვლიდან, დაბრალებით კი ის დააბრალოს, რაც ამ კაცს არც კი ეგულისხმოს, და ამის გამო ბოდიშიც არ მოიხადოს.**

მე ველოდი, რომ ისევე, როგორც ბ-მა ბიძინამ მოიხადა ბოდიში, როდესაც „ვაჟბატონი“ უწოდა ჟურნალისტს, იგივეს მოიმოქმედებდა ბ-ნი მეტრეველიც და იტყოდა, რომ იგი აჩქარდა, არ უნდა დაყრდნობოდა სხვას და რომ ამგვარი ლაფსუსი მომავალში აღარ მოუვაო. რაღაც ამის მსგავსი მას აუცილებლად უნდა ეთქვა და ეს იქნებოდა მისი მხრიდან გადადგმული სწორი, კაცური ნაბიჯი. მაგრამ მან, ბოდიშის ნაცვლად, პირიქით, შეტევის გზა არჩია და ივანიშვილის მიერ გაკეთებული განმარტებაც არ მიიჩნია საკმარისად. აი, მისი სიტყვები: „ბუნებრივია (?! — **ი.ლ.**), რომ მე არც კი მიფიქრია მისი მთელი 40-წუთიანი გამოსვლისთვის მესმინა, ჟურნალისტები თავიდან ბოლომდე არ უსმენენ და ინფორმაციას სააგენტოების ან ტელევიზიების მეშვეობით იღებენ 20-30-წამიანი ამოჭრილი სინქრონით“ (საინტერესოა, რომელ ჟურნალისტებს გულისხმობს მეტრეველი, მასავით „ობიექტურებს და ნეიტრალურებს“ ?!), „როცა ვნახე ჩანაწერი, მე ვერ ვიტყვი, რომ ძალიან შემეცვალა მოსაზრება“, „განმარტების მიუხედავად მე კიდევ მაქვს შეკითხვები“, „მე ვფიქრობ, კარგი გავაკეთე ეს შეკითხვები რომ დავსვი“, „სიტყვაზე ვერ ვენდობი ვერც ბიძინა ივანიშვილს და მე მაქვს უფლება რაღაც ქვეტექსტები მეძებნა“, „ვერავინ ვერ გამორიცხავს, რომ ივანიშვილი შეიძლება იყოს რუსეთის კაცი“. აქედან გამომდინარე, **ჟურნალისტ მეტრეველისთვის „ვაჟბატონის“ წოდება ბ-ნი ბიძინას მხრიდან** (რაც, სიმართლე გითხრათ, არც მე მომეწონა), **თურმე ზუსტი და თან საკმაოდ თავაზიანი შეფასება ყოფილა.**

მეტრეველს კუჭი მხოლოდ იმაზე აეწვა — აქაოდა, „ზედაპირულობა“ როგორ მაკადრეს, მე ხომ დასკვნები არ გამიკეთებია, მხოლოდ კითხვა დავსვიო, თუმცა, უყურადღებოდ დატოვა ამ კითხვის ქ-ნი ლუბა ელიაშვილისეული შეფასება, საკმაოდ დელიკატურად გამოხატული — „ცოტა მტკიცებითი ფორმა ჰქონდა და იარლიყის ელფერი დაკრავდა თქვენს შეკითხვასო“. რა თქმა უნდა, შეიძლება არ მოისმინო ვინმეს გამოსვლა, მაგრამ თუკი წერილის დაწერას ან საჯაროდ კითხვის დასმას გადაწყვეტ, მაშინ კეთილი უნდა ინებო და 20-30 წამზე ცოტა მეტი დრო დახარჯო, თუ გინდა, რომ სხვამაც მიგიჩნიოს პატივისცემის ღირსად.

გამოცდილმა ჟურნალისტმა მეტრეველმა, რომელიც ანალიტიკურ წერილებს წერს, უნდა იცოდეს, რომ პროვოკაციულად დასმული კითხვა და ივანიშვილის სააკაშვილთან შედარება სწორედ იმას ემსახურება, რისთვისაც მას (მისივე აღიარებით), თურმე, შენიღბულ „მიშისტსაც“ ეძახიან. აბა, უპასუხისმგებლობა, ზედაპირულობა ან არაკეთილსინდისიერება რომაა (არჩევანი მისია!), ეს უდავოა.

ჩემს მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ თუ ჟურნალისტი 31 ოპოზიციური ძალის ერთპიროვნული ლიდერის გამოსვლებისთვის ვერ იცლის, აბა, მაშინ აკო მინაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილის და ნუგზარ წიკლაურის ინტერვიუების გაცნობისთვის პოულობს დროს?! **მეტრეველი იმასაც ვერ ხვდება, რომ თავისი განცხადებით იგი საკუთარი თავის გარდა „კვირის პალიტრასაც“ აყენებს ჩრდილს.**

ისე, მე მაინც მგონია, ბ-ნ მეტრეველს მოსმენილიც ექნებოდა და წაკითხულიც ბ-ნი ბიძინას გამოსვლა, მაგრამ ამის აღიარება მას არაფრით ხელს არ აძლევდა, რადგანაც, მაშინ აშკარა გახდებოდა, რომ იგი ან ვერ იგებს ნათქვამს, ან იგებს ისე და კითხვებსაც სვამს ისე, როგორც ეს ზოგიერთებს ესიამოვნება, და თან სალაპარაკო თემასაც აგორებს — აი, რა ჰქონია გუნებაში ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, რაღა „ნაცმოძრაობა“ და რაღა „ოცნებაო“.

მაგრამ მოდით, ვენდოთ ბ-ნ მეტრეველს სიტყვაზე და დავუშვათ, რომ მას მართლაც არ ჰქონდა თერჯოლაში წარმოთქმული სიტყვა წაკითხული, და იგი ბრმად ენდო სხვას (სხვებს), და მათი ეჭვები აიტაცა თავადაც. იმას ხომ უკვე ვერაფრით ვერ იტყვის, რომ მას 2011 წლის ოქტომბრიდან დღემდე გამოქვეყნებული ბ-ნი ბიძინას განცხადებები, ინტერვიუები და გამოსვლებიც არ ჰქონდა წაკითხული; ჰოდა თუკი ყველაფრის (ან თითქმის ყველაფრის) საქმის კურსში იყო, თერჯოლის სიტყვის გაცნობა კი, უბრალოდ, რაღაც მიზეზით ვერ მოახერხა (ისე, მოსმენა რომ არც უფიქრია, ეს თავად განაცხადა), მაშინ მას, როგორც პოლიტიკაზე მწერალ ანალიტიკოსს — კარგად უნდა სცოდნოდა, თუ რას გვთავაზობს საერთოდ ბ–ნი ბიძინა, როგორია მისი პლატფორმა, მისი მსოფლმხედველობა. აქედან გამომდინარე, თითქმის **ერთი წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის წინააღმდეგობაში მოსვლა სააგენტოების მიერ ამოჭრილ სინქრონთან, ნებისმიერი საშუალო ლოგიკური მსჯელობის უნარით აღჭურვილ ადამიანს დააეჭვებდა სააგენტოების მიერ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ერთი ფრაზის სარწმუნოობაში,** და პირის გაღებამდე ან კალმის ხელში დაჭერამდე იგი აუცილებლად გაეცნობოდა ივანიშვილის გამოსვლას, რათა საკუთრივ დარწმუნებულიყო — უღალატა ივანიშვილმა თავის პრინციპებს თუ — არა. და თუ ღალატის ნიშნებს დაინახავდა, მხოლოდ ამის შემდეგ მოახდენდა პრეზიდენტთან მის შედარებას.

ბ-ნი მეტრეველისთვის ამგვარი, ასე ვთქვათ, ქცევის კანონები (გნებავთ, ლოგიკური აზროვნება), როგორც ჩანს, უცნობია. სამაგიეროდ **მასში არავითარ უხერხულობას არ იწვევს მკრეხელური შედარება, როცა ამშენებელს და დამაქცევარს შორის ზღვარს არ ავლებს და მათ გამონათქვამებს ერთ სიბრტყეზე განიხილავს, ადარებს.** როცა, რიტორიკული კითხვის ფორმით გამოხატულ ბრალდებას ისეთ ადამიანს უყენებ, რომელმაც 20 წელია, საქმით დაამტკიცა, რომ მისი საზრუნავ-საწუხარი საქართველოა, და რომელსაც თუ არა ხალხის სატკივარი, სხვა არაფერი არ რჩიდა შესანიშნავად აწყობილი, მშვიდი და უხიფათო ცხოვრება ერთობ სარისკო ცხოვრებაზე გაეცვალა, საკუთარი და ოჯახის ბედი სასწორზე დაედო, უამრავი ადამიანისგან მადლიერების გამოხატვის ნაცვლად ყოვლად დაუმსახურებელი და უსაფუძვლო ცილისწამებები ესმინა, სხვა თუ არაფერი, ცოტა უხერხულობა მაინც უნდა იგრძნო ნამუსშერჩენილმა კაცმა.

„ორ-სამ წელიწადში წავალ ხელისუფლებიდანო, გვეუბნებოდა ივანიშვილი და ხომ არ გვატყუებს —20 წელი გვჭირდება დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლადო, ახლა რომ აცხადებს; თუკი 20 წელია საჭირო, მაშინ სააკაშვილს რატომ ვედავებით, 8 წელიწადში რომ ვერ დაამყარა დემოკრატია, ვაცალოთ იმასაცო...“ აი, ასე მსჯელობს, რაც არ უნდა გასაკვირვი იყოს, „ანალიტიკოსი“ მეტრეველი, რომელიც, ეტყობა, დემოკრატიის გაჩაღებულ შენებას აკვირდება საქართველოში 8 წელია და კიდევ 12 (ან 32!) წელი სჭირდება პრეზიდენტისთვის, რათა მან მშენებლობა დაასრულოს და ლენტი გაჭრას.

ამგვარი შედარება და რიტორიკული კითხვები რომ დაგებადოს კაცს, აუცილებლად უნდა ხედავდე ქვეყანაში ყოველწლიურად მეტ და მეტ დემოკრატიას, ალმავლობას, სამართლიანობის დამკვიდრებას.

იხ. 6 გვ.

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

# ჰეგემონი ქვეყნის მსოფლიო ბატონობის გეგმა

**„კიდევ ერთი დიდი გაურკვევლობა იკვეთება მსხვილი და გეოპოლიტიკურად არასტაბილური ცენტრალური ევრაზიის სივრცეში. ვითარება აფეთქებამდეა მისული თურქულ-ირანული ცენტრების გამო. ეს რეგიონი ყირიმში იწყება და მიემართება აღმოსავლეთით, რუსეთის ახალი საზღვრებისკენ კავკასიაში, მიჰყვება ჩინეთის სინცზიანის პროვინციას, შემდეგ უხვევს ინდოეთის ოკეანისკენ და წითელი ზღვისკენ, ადის ჩრდილო-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისკენ და ბრუნდება ყირიმში.**

ამ ზონაში 400 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. 25 ქვეყანაა აქ, ეთნიკური თვალსაზრისით განსხვავებული. განსხვავებულია მათი რელიგიური მრწამსიც. არც ერთი ქვეყანა არ გამოირჩევა პოლიტიკური სტაბილურობით. ზოგიერთი ამ ქვეყანათაგანი შეიძლება იყოს ბირთვული იარაღის დამზადების პროცესში. ეს უზარმაზარი ზონა გაჯერებულია ურთიერთსიძულვილით, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს აგიზგიზდეს ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი დიდი სახელმწიფოების მიერ, რაც საბოლოო ჯამში გადალახავს ცივილიზებული ქცევის ნორმას და დიდი ბრძოლის ველად იქცევა.

ამ არასტაბილური რეგიონის პრობლემათა ნაწილი შეიძლება იყოს აშშ-ს მოწინააღმდეგე, როგორც ამას აცხადებს ისლამის ფუნდამენტალიზმი. ისლამის ფუნდამენტალიზმს შეუძლია პოზიციები შეურყიოს რეგიონის პროდასავლურ ხელისუფლებას და საბოლოო ჯამში საფრთხის ქვეშ დააყენოს აშშ-ს რეგიონული ინტერესები, განსაკუთრებით სპარსეთის ყურეში...

პოტენციურად ყველაზე სახიფათო მოვლენა იქნება აშშ-ს „ანტიჰეგემონისტური“ კოალიციის შექმნა ჩინეთის, რუსეთის და ირანის მიერ. ამ ბლოკის შექმნის საწინააღმდეგოდ, აშშ-მა უნდა გამოავლინოს ერთდროული გეოსტრატეგიული ოსტატობა ევრაზიის დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთის საზღვრებთან“.

**ცნობილი ამერიკელი მეცნიერისა და პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის მოსაზრება რეგიონთან დაკავშირებით, სადაც საქართველოც არის, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის, მით უმეტეს, როდესაც შორსმჭვრეტელი მეცნიერის აზრი, რომელიც მან ფართო საზოგადოებას 1999 წელს გამოცემულ თავისსავე წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ გააცნო, ზედმიწევნით ემთხვევა რეგიონში მიმდინარე პროცესებს.**

აშშ, რომელიც მიუხედავად ქვეყნის რთული ეკონომიკური ვითარებისა, მაღალი უმუშევრობისა და სხვა ნეგატიური მომენტებისა, დაბეჯითებით ცდილობს არა თუ ამ რეგიონის კონტროლს, არამედ „დაჰყავი და იბატონეს“ დრომოჭმული პრინციპით, საკუთარი ჰეგემონისტური პოლიტიკის უცილობელ გატარებას. ის ხშირად მიმართავს ორმაგ სტანდარტებს, რაც პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელთა შორის ნამდვილად არ სტოვებს უარყოფით შთაბეჭდილებას.

აშშ-თვის უცხოა ვილაცის, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ინტერესებისთვის გარკვეული ყურადღების დათმობა, მაშინ, როდესაც საკუთარი ინტერესები აქვს დასაკმაყოფილებელი.

მოცემული რეგიონი უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური ჭიდილის თვალსაზრისით. აქ გამარჯვებული, წელგამართული იქნება სხვა გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამდენად, დღევანდელი ჰეგემონი მაქსიმალურად ცდილობს საკუთარი პოზიციების განმტკიცებას, თითქოსდა ერთმანეთის გამომრიცხავი გეგმების განხორციელებებით – ერთის მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვით და დემოკრატიით, მაღალსაკაცობრიო ფასეულობებზე ლაპარაკით და მეორეს მხრივ – თალიბანთან, ფუნდამენტალისტ მუსლიმანებთან, სხვა რეაქციულ ძალებთან საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოებით და მათი მიმართვით აშშ-ს მოწინააღმდეგე, ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელისუფლების წინააღმდეგ. მსგავსი რამ ხდება სირიაში.

ერთის შეხედვით, წინააღმდეგობებით არის აღსავსე აშშ-ს პოლიტიკა. გახსოვთ, ალბათ, პრეზიდენტ ობამას პრეზიდენტობის პირველი წელი და მისი ვიზიტი ეგვიპტეში. სიტყვა, სადაც ხაზგასმული იყო არაბული სამყაროს დემოკრატიისკენ სვლა.

ამერიკა აფინანსებდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული დემოკრატიის მშენებლობაში ქაიროსა და სხვა ქალაქებში. ამერიკული კომპანიები თავს იწონებდნენ იმით, რომ სოციალური მედიის საშუალებით გააიოლეს მუბარაქის დამხობა. აშშ-მა ყველა ღონე იხმარა ეგვიპტის ხელისუფლების შესაცვლელად და დემოკრატიული პროცესების დასაწყებად, მაგანი იტყვის – მუბარაქი ხომ აშშ-ს მჭიდრო მოკავშირე იყოო. იყო, მაგრამ ხანდაზმულის და ავადმყოფის მოკავშირეობა აღარ მოინდომა პრაგმატულმა ვაშინგტონმა. მან ისეთი სარმა გამოსდო მუბარაქს, როგორიც 2003 წელს – შევარდნაძეს. აშშ-მა დემუბარაქიზაცია, ისე, როგორც დეშევარდნაძიზაცია გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე თბილისის ან კაიროს რევოლუციები.

დემოკრატიზაციის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად აშშ დახმარებას უწევს ეგვიპტელ სამხედროებს. ეს ქვეყანა მერამდენე წელია, დიდ ფულს ხარჯავს ეგვიპტელი ოფიცრების სწავლებაში (2 მილიარდ დოლარზე მეტსძ, სამხედროები ეგვიპტეში პრივილეგირებულები არიან. სახელმწიფო სახელმწიფოში – ასე მიიჩნევენ მათ ამ ქვეყანაში. ეგვიპტელ სამხედროებს გარკვეული პოზიციები უპყრიათ კერძო სექტორში, რაც მათ შანსს აძლევთ სამხედრო სამსახურიდან წასვლის შემდეგ უდარდელად იცხოვრონ.

**ერთმანეთისგან განსხვავებული გეგმები საერთო ჯამში ერთ საქმეს ემსახურება – აშშ-ს ჰეგემონიზმის განმტკიცებას. პოლიტიკურ ვაშინგტონს არავითარი გულყრა არ აქვს ამა თუ იმ გეგმის ამოქმედების მიმართ. თუ ქვეყნის ინტერესები მოითხოვს ამას, შეუძლია უარი თქვას დემოკრატიაზე და, პროპაგანდისტული მანქანის ამუშავებით, ნეგატიური პოზიტიურად, დემოკრატიულად წარმოაჩინოს.**

აღნიშნულის თვალნათელი მაგალითია პალესტინაში ჩატარებული არჩევნები. აშშ დაბეჯითებით მოითხოვდა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, მაგრამ „ჰამასის“ გამარჯვების შემდეგ, დაივიწყა არჩევნებიც და დემოკრატიაც.

ვაშინგტონისთვის მიუღებელი გამოდგა „ჰამასის“ გამარჯვება. მას შემდეგ არაერთმა წელმა განვლო, თუმცა დაპირისპირება „ჰამასის“ მიმართ არ შეცვლილა. ვაშინგტონი მას ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს და არ სურს მასთან ურთიერთობის ქონა, მაგრამ იმავდროულად შეიმჩნევა მისი ურთიერთობა არანაკლებ ტერორისტულ ორგანიზაცია „თალიბანთან“.

**ამ ეტაპზე ვაშინგტონს აწყობს „თალიბანის“, „ალ-ქაიდას“ მებრძოლების სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ აშშ-ა ომი ავღანეთში სწორედ „თალიბანის“ და „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ წამოიწყო, სირიის საწინააღმდეგოდ მათი გამოყენება (ცხადია, ფარულად) დემოკრატიის ვერც ერთ ჩარჩოში ვერ ჯდება.**

ცნობისთვის: ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შექმნა „თალიბანი“. ხელისუფლებაში მისულმა „თალიბებმა“ შემქმნელიც დაივიწყეს და მილიარდებიც, რომელიც ვაშინგტონმა გაიღო მათი ჩამოყალიბებისთვის.

ბჟეზინსკის მიერ მოხაზულ სივრცეში ირანიც არის, რომელთანაც აშშ-ს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა. შაჰის ირანი აშშ-ის მყარი დასაყრდენი იყო, რისთვისაც ვაშინგტონი სახსრებს არ ზოგავდა. დღეს ეს ქვეყანა ამერიკაში მტრად მიიჩნევა და მის მოსახრჩობად ჰეგემონი ძალას არ იშურებს.

კლერიკალური ირანი არა მარტო ამერიკაში იწვევს გაღიზიანებას, არამედ თეთრი სახლის დაძალებით ამერიკის ევროპელ მოკავშირეებშიც. 30 წელზე მეტია, ამერიკა ებრძვის ირანს – ძირითადად ეკონომიკური სანქციებით, თუმცა იმასაც აცხადებს, რომ თუ სანქციებმა შედეგი არ გამოიღო, იარაღსაც აამოქმედებს.



**ბჟეზინსკის მიერ გახმაურებული სამთა კავშირის (რუსეთი, ჩინეთი, ირანი) წინააღმდეგ ვაშინგტონი საპირისპირო გეგმებს ახორციელებს. მათ შორისაა ანტისარაკეტო სისტემები. რამდენიმე წელიც და ვითომდა ირანის საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად, სინამდვილეში რუსული რაკეტების გასანეიტრალებად, ძალაში შევა ევროპული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა.**

სულ ახლახან დაიწყო ანტიირანული სარაკეტო სისტემის ჩამოყალიბებაც. ირანის რაკეტების გასანეიტრალებლად უკვე მოქმედებს რადარები ისრაელსა და თურქეთში, მათთან ერთად ამოქმედდება ყატარშიც. ამ ქვეყნის საიდუმლო ბაზაზე აშშ ქმნის ირანული რაკეტების დასაჭერ სისტემას. რადარულმა სისტემამ უნდა გაანეიტრალოს ისრაელზე დამიზნებული რაკეტები.

რატომ მაინცდამაინც ყატარი? იქ უკვე არის აშშ-ის 2 სამხედრო ბაზა, რვაათასიანი სამხედრო კონტინგენტით. ყატარის რადარი ერთი ჯაჭვით იქნება დაკავშირებული ისრაელის უდაბნო ნეგევში და ცენტრალურ თურქეთში არსებულ ამერიკულ რადარებთან.

ყატარი აქტიურად იყო ჩართული ლიბიის ინტერვენციაში. დღეს ყატარი აფინანსებს და იარაღით ამარაგებს სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ოპოზიციას. „ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ სიძლიერეს, რათა არ დავუშვათ ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა“, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

ირანის წინააღმდეგ არა მარტო ყატარია ჩართული, აქვეა ქუვეიტიც. ა.წ. ივლისში აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოამზეურა ქუვეიტისთვის იარაღის მიყიდვის გეგმა, რომლის მიხედვით, ამ პატარა ქვეყანას 4.2 მილიარდი დოლარის იარაღს მიაწვდიან, მათ შორის 60 რაკეტა „პეტრიოტს“, ოთხ რადარს და სხვა.

გასული წლის ბოლოს აშშ-მა გაერთიანებულ არაბულ საამიროებს 4 მილიარდ დოლარად მიჰყიდა 2 ანტისარაკეტო კომპლექსი და რაკეტები. საერთო ჯამში, 2008 წლიდან დაწყებული, საამიროებმა 12 მილიარდი დოლარის იარაღი შეიძინეს აშშ-გან.

მსგავსი ანტისარაკეტო სისტემა ჩინეთის საწინააღმდეგოდ იქმნება. ამის შესახებ იტყობინებოდა ამერიკული „უოლ სტრიტ ჯორნალი“, თუმცა იქვე იყო აღნიშნული, რომ სისტემა ჩრდილო კორეის რაკეტების გასანეიტრალებლადაა. ეს სისტემა აზიის დიდ ნაწილს დაფარავს. ახალი რადარი დამონტაჟდება იაპონიაში, მეორე კი – ფილიპინებზე. ისინი ერთმანეთთან კავშირში იქნებიან ამერიკული სამხედრო გემებით და სახმელეთო სამხედრო ბაზებით, რომლებზეც განთავსდება რაკეტების გასანეიტრალებელი რაკეტები.

აზია-წყნარი ოკეანის სივრცეში აშშ-ს ჰყავს 26 ანტისარაკეტო სამხედრო ხომალდი, 2018 წლისათვის მათი რაოდენობა 36-მდე გაიზრდება. აღნიშნულ სივრცეში აშშ-ს გავლენის შესანარჩუნებლად მთავარი როლი ენიჭება ავიამზიდებს.

მაგრამ არც ჩინეთია გულხელდაკრეფილი. ის ქმნის გემთსაწინააღმდეგო ბალისტიკურ და ფრთოსან რაკეტებს – 930 მილის რადიუსის მოქმედებით, რაც ტაივანის სრუტეში ამერიკულ ავიამზიდებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი დააპირებს ტაივანზე ჯარის გადასხმას. პენტაგონის მონაცემებით, პეკინს ტაივანზე 200 ბალისტიკური რაკეტა აქვს დამიზნებული. საერთო ჯამში ჩინეთს 70 კონტინენტთშორისი ბალისტიკური რაკეტა და 410 ბირთვული ქობინი აქვს.

**ზემოთ მოყვანილი არსებული თუ სამომავლო სამხედრო გეგმები ჰეგემონი ქვეყნის მსოფლიო ბატონობის საერთო გეგმის შემადგენელი ნაწილია. ამ გეგმაში საქართველოც მოიაზრება, რაც თავისთავად მეტყველებს ვაშინგტონელ პოლიტიკოსთა მხრიდან საქართველოს მიმართ გამოვლენილ ინტერესზე.**

გასულ კვირას ამ ინტერესთა სრული დემონსტრირება აღინიშნა არა მარტო ამერიკელ პოლიტიკოსთა მხრიდან, არამედ აშშ-ს მოკავშირე ქვეყნების, აგრეთვე ნატოს გენერალური მდივნის მხრიდან. ევროპელი პოლიტიკოსები თბილისში მიმდინარე ამბასადორიალსაც დაასწრეს და ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკისა და გატარებული რეფორმების მიმართ ბევრი კარგი სიტყვაც ათქმევინეს.

ქათინაურები არ დაიშურა ამერიკელმა სამმა სენატორმაც, განსაკუთრებით მაკკეინმა. მარტო ფაქტი იმისა, რომ არჩევნების წინ საქართველოს სტუმრობდნენ სააკაშვილის გულშემატკივარი სენატორები, „რაღაცას“ ნიშნავს სააკაშვილისთვის და, რაც მთავარია, ამერიკისთვის.

**სტრატეგიული პარტნიორის წარმოგზავნილებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ხელისუფლების განწყობის გაგებას აშშ-ს მიმართ, გარდა ამისა, რა პოზიციები უკავია მმართველ პარტიას არჩევნების წინ, შეძლებს თუ არა ის წარმატების მოპოვებას, ვინ არის მმართველი პარტიის ოპონენტი და რას წარმოადგენს ის და ა.შ.**

ვგონებ, ამერიკელი სენატორები კმაყოფილები დარჩნენ საქართველოში ვიზიტით. ისინი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ სააკაშვილის ამერიკულობაში. გარდა ამისა, ივანიშვილიც შეიპირეს ამერიკასთან თანამშრომლობაში და, რაც მთავარია, იმაში, რომ ის დამარცხების შემთხვევაში ქუჩის აქციებით რევოლუციას არ მოაწყობს.

მაკკეინმა დიდი კმაყოფილებით განაცხადა, რომ ივანიშვილმა ყველა კავშირი გაწყვიტა რუსეთთან, და რომ ამ აქტით ქართველმა ოპოზიციონერმა დიდი ნდობა მოიპოვა ამერიკელთა თვალში. ამერიკელმა სენატორებმა დაადგინეს, რომ ვაშინგტონს მშვიდად შეუძლია ძილი, ვინაიდან ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ივანიშვილის სახით, მტკიცედ უდგანან გვერდში მას.

**ამერიკელმა სენატორებმა არჩევნებთან დაკავშირებითაც ილაპარაკეს და იმედი გამოთქვეს მის დემოკრატიულად ჩატარებაში. მათ ისიც თქვეს, რომ დაეყრდნობიან NDI-სა და IRI-ის მონაცემებს, რაც ნაკლებად დასამშვიდებელი უნდა იყოს ჩვენი ამომრჩევლისთვის.**

აშშ-ს არჩევნების მშვიდად ჩატარება და, საერთოდ, საქართველოში სტაბილური ვითარება აწყობს, მით უმეტეს დღეს, როდესაც ესოდენ დაძაბული მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთსა და იმ რეგიონში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით. ჩათავდება ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები და კვლავ მწვავად დადგება ირანის ბირთვულ ობიექტებზე საჰაერო იერიშის მიტანის თემა. ასეთ ვითარებაში ამერიკა-ისრაელს უდავოდ დასჭირდებათ ირანის სიახლოვეს არსებული აეროდრომები. და ამ აეროდრომების პატრონი ქვეყნის არარევოლუციური მდგომარეობა, რაც მთავარია, რუსეთისგან შორს დგომა.

მაკკეინი ცნობილია თავისი ანტირუსული განწყობით, მაგრამ ეს პოზიცია მარტო მისთვის არ არის დამახასიათებელი. მსგავსი მიდგომის მატარებელი ბევრია ამერიკაში როგორც რესპუბლიკელებში, ისე დემოკრატებში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან თვით ამ ქვეყანის მთავარი მიზანი სამარადისო მსოფლიო პირველობაა. მიუხედავად ეკონომიკური ჩავარდნებისა, ამერიკა პირველი ქვეყანაა და ამ პირველობას არავის დაუთმობს. ამ ბრძოლაში ის პატივს სცემს სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ზედმიწევნით მორჩილებას.

მაკკეინმა მოუწონა ივანიშვილს რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, თითქოს რუსეთი კეთროვანი იყოს, თითქოს რუსეთი არ ეხმარებოდეს აშშ-ს ავღანეთთან სტაბილურ საჰაერო კავშირში, თითქოს დღევანდელ ადმინისტრაციას არ წამოეწყოს რუსეთთან „გადატვირთვის“ გეგმა.

მაკკეინი და მისი კოლეგები თვლიან, რომ საქართველოს მხოლოდ აშშ-თან უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, ანუ იმ ცნობილი ფრაზისა არ იყოს – „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“.

დემოკრატიული ამერიკის სენატორი კმაყოფილებას ვერ ფარავდა ივანიშვილის გადაწყვეტილების გამო. თქვენ, პატივცემულო მკითხველო? და თუ მართლაც მსგავსი მოსაზრება შეეპარა თქვენს გონებას, ვიდრე ის ტვინის ორივე ნახევარსფეროს დაიპყრობს, იფიქრეთ რუსეთში საშოვარზე წასულ მილიონზე მეტ თქვენს სისხლსა და ხორცზე, რომლის გამოგზავნილი ფულით გიდგათ სული.



**ნურც იმას დაივიწყებთ, რომ პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს - პოლიტიკაში ინტერესებია მთავარი. საქართველო, როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, აწყობს ე.წ. „სტრატეგიულ“ პარტნიორს საკუთარი ჰეგემონიზმის განმტკიცებისთვის.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

განსჯა

# არ შეიძლება ერთდროულად ობიექტურიც იყო და ნეიტრალურიც

## „მაესტროს“ ერთი დღის ოთხი გადაცემის თაობაზე

და რახან ამის ნასახიც არ არის და, პირიქით, არის სრული განუკითხაობა, შენ კი, მიუხედავად ყველაფრისა, დღევანდელი ჩვენი გაუსაძლისი ყოფის მთავარი მიზეზის – სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის დაუოკებელ სურვილს (სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით საკმაოდ არაორაზროვნად გაჟღერებულს, და შემდგომში არ უარყოფილს) უამრავი მამულიშვილური საქმეების უხმაუროდ მკეთებელი ივანიშვილის „სურვილთან“ აიგივებ (ტექსტიდან ამოგლეჯილი მხოლოდ ერთი ფრაზის საფუძველზე, თანაც მის მიერვე ოპერატიულად უარყოფილის), გვერდიგვერდ აყენებ მათ და კითხვის ნიშანსაც ერთნაირად უსვამ, ასეთი მიდგომა, რბილად რომ ვთქვათ, ობიექტურობას ვინ ჩივის, მთლად ზნეობრივი არ არის! **სწორედ ამგვარ ყაიდაზე მოაზროვნე ხალხს შეარქვა შალვა რამიშვილმა „შუაშისტები“.**

მეტრეველის „შუაშისტობა“ არჩევნებთან მის დამოკიდებულებაშიც გამოიხატა – **„არჩევნებზე მხოლოდ (! – ი.ლ.) იმიტომ მივალ, რომ არჩევნებით მოხდეს ხელისუფლების ცვლა, და არა – ვინმეს მხარდასაჭერადო“.** ანუ მას, როგორც მოქალაქეს, არ აინტერესებს თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში – „ნაცმოძრაობის“ ახალი სახეები თუ ოპოზიციური ძალები. ყოველ შემთხვევაში, ღიად დაფიქსირებას გაურბის, ვითომდაც იმ მოტივით, რომ ობიექტური ჟურნალისტი იმავდროულად ნეიტრალურიც უნდა იყოს. **სწორედაც ეს, ვითომდაც ნეიტრალობა, სინამდვილეში კი ხელისუფლების შეგნებული (ან, შესაძლოა, შეუგნებელი) წახმარება არის „გასაკრეფი“ – „შუაშისტობა“!**

ახლა მეტრეველის ტაქტიანობასაც შევეხოთ. როდესაც „დემოკრატიული ქვეყნის 20 წელიწადში აშენებასთან“ დაკავშირებით განმარტებას იძლეოდა ბ-ნი ბიძინა, მან ისიც კი განაცხადა, რომ მეტრეველი „სიმპათიური **ახალგაზრდაა, სიამოვნებით შევხვდები მას** და ინტერვიუსაც მივცემო“. კაცი რომ ასე თბილად იტყვის ჟურნალისტზე, რომელმაც მას ცილი დასწამა, ხოლო ამ უკანასკნელის გაგება ნათქვამისა კი იქნება – „იმედი მაქვს შეასრულებს პირობას და **ის მოვა ჩემთან** გადაცემაში“, ცოტაოდენ თავში ავარდნის ნიშნები აშკარად იკვეთება. **„შევხვდები“** და **„მეტრეველს ვეახლები სტუდიაში“** ერთი და იგივეა?! იქნებ თავისთან გეპატიჟება, რა, თავს დაიფასებ?! **როცა ივანიშვილის** მიერ კეთილგანწყობილი ტონით ნათქვამ **ერთ წინადადებას** – თავაზიანად გამოხატულ მზადყოფნას შეხვედრისთვის **ასეთ „ზრდილობიან“ ინტერპრეტაციას გაუკეთებს ანალიტიკოსი, ადვილი წარმოსადგენია, 40-წუთიან გამოსვლას, რომელიც მას არ მოუსმენია და არც წაუკითხავს, რა ქვეტექსტებს აღმოუჩენს იგი!**

სხვა თუ არაფერი, უბრალოდ არ ეკადრება ახალგაზრდა ჟურნალისტს მასზედ უფროსი ადამიანის, რომელმაც „ქვაზე მადლის დადების“ მსგავსად აკეთა საქვეყნო საქმეები და, რომელსაც იმედის თვალით შეჰყურებს სასოწარკვეთილებამდე მისული, ლამის იმედგადაწურული და დასავლეთის მიერ ნაცებს შეტოვებული ქართველი ხალხი, ასე უცერემონიო ფორმით და მესამე პირში მოხსენიებით „მიპატიჟება“ თავისთან.

მეტრეველის კირკიტის მოყვარულობაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი ისეთ რამეებს უწუნებს ივანიშვილს, რაც მას დასაწუნი ნამდვილად არა აქვს. მეტრეველი ივანიშვილს უწუნებს რეალ ტვ-ის ჟურნალისტებთან კონტაქტში (კამათში) შესვლას, მათთვის ახსნა-განმარტების მიცემას და ნამუსზე შეგდების მცდელობას. ისინი ხომ ჟურნალისტები არ არიანო, – აცხადებს ბ-ნი ჟურნალისტი. აღნიშნული ჟურნალისტები ბევრს არ ეხატება გულზე (მათ შორის მეც) და არც თავს გაუყადრებს მათ, მაგრამ ერთია რიგითი მოქალაქის და, თუნდაც, „ობიექტური და ნეიტრალური“ ჟურნალისტის პოზიცია, და სულ სხვაა სახელმწიფოს მმართველობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანის, რომელიც მზრუნველი უნდა იყოს აბსოლუტურად ყველაზე, განურჩევლად მათი შეხედულებებისა. თუ ბ-ნი ბიძინა ახლანდელი ხელისუფალის ანალოგიურად მოიქცევა და დაყოფს ხალხს, რეალ ტვ-ს შსს-ს დანამატად ჩათვლის და ამ მოტივით მათ ჟურნალისტებს ხელს კრავს, როგორც ამას პრეზიდენტი აკეთებს, როცა ოპოზიციურ არხებს კრემლის რუპორებად მოიხსენიებს და სათოფეზე არ ეკარება მათ, მაშინ რა განსხვავება იქნება მათ შორის? არც არაფერი. **ბ-ნი ბიძინა იქცევა როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, იგი ცდილობს ყველა გზასაცდენილი ადამიანის (ჟურნალისტების ჩათვლით) მოქცევას – სწორ გზაზე დაყენებას მათთან უშუალო გასაუბრებით და ნამუსზე შეგდების გზითაც კი.**

მეტრეველი ლაპარაკსაც უწუნებს ივანიშვილს – უჭირსო მწყობრად საუბარი, ხშირად ხტება თემიდან თემაზეო. სააგენტოების ამოჭრილ სინქრონებზე დაყრდნობით აკეთებს ამ დასკვნასაც, ალბათ, ჟურნალისტი, თორემ ვისაც უყურებია ბ-ნი ბიძინას გამოსვლებისთვის და ინტერვიუებისთვის, ყველანი სასიამოვნოდ არიან განცვიფრებულნი მისი ნიჭიერებით – კაცი ლამის განდებილივით ცხოვრობდა ათი წლის მანძილზე, ჟურნალისტებთან ურთიერთობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონია და, მიუხედავად ამისა, პოლიტიკაში შემოსვლის პირველივე დღიდან, პირველივე საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვიუდან გამოჩნდა მისი კომპეტენტურობა და გულწრფელობაც კითხვებზე გასაგები) და ამომწურავი პასუხებით. და, რაც მთავარია, ყოველი მისი მომდევნო გამოსვლა თუ ინტერვიუ წინაზე უკეთესია. ამას რომ ჟურნალისტი ვერ დაინახავს, მას უსათუოდ აქვს ობიექტურობის ან კეთილსინდისიერების პრობლემები. შესაძლოა, ივანიშვილი ერთი-ორჯერ მართლაც გადავიდა თემიდან თემაზე (ვის არ ემართება ეს), მაგრამ როცა ჟურნალისტი ამას უსვამს ხაზს და ისე წარმოაჩენს, თითქოს, ამგვარი მეტყველება იყოს ივანიშვილისთვის დამახასიათებელი, მისი ობიექტურობა უკვე ბრჭყალებში ჩასმას იმსახურებს.

მეტრეველს, ალბათ, „ჩამოყალიბებული პოლიტიკოსების“ – ხელისუფლების მოლაპარაკე სახეების დაზუთხული, არაფრისმთქმელი ზოგადი ფრაზების თუთიყუშივით გამეორება მიაჩნია მწყობრ საუბრად, რომლებსაც კრიტიკულად დასმულ კითხვაში ერთიმეორეში ერევათ „ერეკლე და მისი ხმალი“! ან, იქნებ, „მემარჯვენეების“ ტანდემის – გამყრელიძე-კაციტაძის მეტყველება ამისთვის მოსაწონი, რომლებსაც ტელეწამყვანიც ვერ ჩაურთავს სიტყვას, სანამ ისინი დაწყებულ თავის ქებას არ ჩაათავებენ (რომლებსაც პარტიის პროგრამა-დაპირება, რასაც მოსახლეობის 0.1%-იც არ კითხულობს, ჰგონიათ გამარჯვების საწინდარი და არა – ხალხის ნდობა, საკუთარი კონფორმისტული პოლიტიკის შედეგად დაკარგული).

უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტრეველი საკუთარ მეტყველებას არ ემდურის. მაგრამ როცა სხვას არ აცლი აზრის დასრულებას, როცა არასასურველ რეპლიკებს (ქ-ნ ელიაშვილის თუ ტელეწამყვანის) აშკარად გაურბიხარ და ხელის აქნევით იცილებ სიტყვებით – „ეს სხვა თემაა“, „ეს სხვა საკითხია“ და სულმოუთქმელად შენსას მიერეკები, თუნდაც გრამატიკულად გამართული წინადადებებით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კარგად და მწყობრად მეტყველებ.

კიდევ ერთი მიგნება ბ-ნი მეტრეველისა: „ბ-მა ბიძინამ თავისი გამოსვლით („რამიშვილის დილაში“) რეკლამა გამიკეთა, მეტი არაფერი, ჩემი ცნობადობა რამდენჯერმე გაიზარდაო“. უდავოა მისი მოსაზრება, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ ხვდება თუ რა აზრი შეექმნება (უკვე შეექმნა) დაკვირვებულ მსმენელს და მკითხველს მასზე. პირადად ჩემზე (და არა მარტო) მეტრეველმა ჩასაფრებული ჟურნალისტის შთაბეჭდილება დატოვა, რომელიც კვანტის დასადებადაა გამზადებული. კი ბატონო, ჟურნალისტი მუდამ და ყველას უნდა ჩაუსაფრდეს, მაგრამ ჟურნალისტი მოქალაქეა უპირველესად და არ შეიძლება, რაც არ უნდა ობიექტურობაზე დებდეს იგი თავს, ნეიტრალური იყოს, რომელიმე ძალისკენ (ხელისუფლებისკენ ან ოპოზიციისკენ) არ იხრებოდეს ქვეყნისთვის კრიზისულ სიტუაციაში და რაღაც, გაურკვეველ შუალედურ, გასაკრეფად წოდებულ პოზიციას აფიქსირებდეს.

**გასაკრეფ-შუალედურში იგულისხმება არა განსხვავებული აზრი და პოზიცია, არამედ დაფარული, უფრო სწორად, შენიღბული პოზიცია, რომელიც ხალხის დასაბნევად და ხელისუფლების მხარდასაჭერადაა გამიზნული, და არა – პირიქით.** ვინ იტყვის, მაგალითად, რომ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას, რომელსაც ყველასგან გამორჩეული (მე ვიტყოდი, ყველაზე სწორი) პოზიცია უკავია და, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებული საგარეო პოლიტიკის მომხრეა, ვიდრე „ქართული ოცნება“ ან დღევანდელი ხელისუფლება, კიდეში დგას ან შუაში, და რომ იგი გასაკრეფია?! ცხადია, არავინ! მაგრამ ისინი, ვისი საგარეო კურსი და საშინაოც ერთი ერთზე ემთხვევა ოპოზიციისას (და არაფრით არ განსხვავდება არც სახელისუფლებო კურსისგანაც), რომლებიც თავიანთ თავს ეროვნულებსაც უწოდებენ, ქრისტიანებსაც და დემოკრატებსაც, ხან კონსტრუქციულ ოპოზიციას და ხანაც – ევოლუციონურს და ანტისახელისუფლებო რიტორიკითაც გამოირჩევიან, მაინც გასაკრეფში მოიაზრებიან. რატომ? იმიტომ, რომ თავიანთი წარსულით თუ ხელისუფლების მხრიდან მათთვის გაწეული დახმარებით (ოფისების გახსნა იქნება ეს, დაფინანსება-მილიონიანი გარიგებები, სახელისუფლებო ტელევიზიებში გამორჩეულად გაშუქება თუ საპარლამენტო არჩევნებში აშკარა გაქაჩვა) მათი ჭეშმარიტი სახეები, კარგა ხნის წინათ გამოაშკარავდა.

**ეს მოჩვენებითი ოპოზიციონერობა საკუთარი პირით აღიარეს „მემარჯვენეებმა“ და „ეროვნულ-დემოკრატებმა“** (კაციტაძემ და ჩახვაძემ გადაცემა „პოლიტმეტრში“, გამყრელიძემ – „სუბიექტურ აზრში“), **როდესაც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის კახა კუკავას უმარტივეს კითხვას ვერ უპასუხეს.** წამყვანის მიერაც გამეორებულ ამ შეკითხვას, თუ „ვის – ხელისუფლების თუ „ქართული ოცნების“ კანდიდატს დაუჭერდნენ ისინი მხარს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, თუ ორივე ძალას ერთნაირად 45-45 % ადგილებისა ექნებოდა პარლამენტში, და მათ კი – 10%“, ყველამ თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და ნამდვილი ბოდიალი დაიწყო. **„ამ ადამიანებმა ძალიან ღიად განაცხადეს, რომ არ ითანამშრომლებენ ოპოზიციურ ძალებთან“,** – ასეთი იყო კუკავას აბსოლუტურად სწორი შეფასება, რომელმაც მიუხედავად საგარეო პოლიტიკაში ყველასგან დიამეტრალურად განსხვავებული ხედვისა, მიუკიბმოკიბავად უპასუხა: **„ყველა ჭეშმარიტმა ოპოზიციურმა ძალამ მხარი „ქართულ ოცნებას“ უნდა დაუჭიროს“.** ამიტომაც, სავსებით სამართლიანად იმსახურებს იგი სულ უფრო და უფრო მეტ პატივისცემას და მხარდაჭერას ამომრჩევლისგან. და **პატიოსანი არჩევნების შემთხვევაში (სათანადო დაფინანსებასთან ერთად, ცხადია!), დარწმუნებული ვარ, „თავისუფალი საქართველო“ გაიმარჯვებდა** კიდეც. ახლა კი, „ქრისტიანდემოკრატებს“ და „მემარჯვენეებს“ მოიაზრებენ მესამე ძალად, ხოლო „თავისუფალი საქართველოს“ პარლამენტში მოხვედრას(!) კითხვის ქვეშ აყენებენ. გასაოცარია ჩვენი (საკმაო ნაწილის) გამოლენჩება, როგორ გამოგვირეცხეს ტვინი!

კი იბოდიალეს მემარჯვენეებმა და დასმულ კითხვაზე პირდაპირ პასუხს თავი აარიდეს, მაგრამ ერთი პასუხი მაინც გასცეს, თავიანთი ჭკუით დიპლომატიური: **„იმის მიხედვით, თუ როგორი კონფიგურაციით იქნება ძალები წარმოდგენილი პარლამენტში, ჩვენც ისე ვიმოქმედებთო“,** იმას კი ვერ მიხვდნენ, რომ კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი სატელიტობა ხელისუფლებისა, გნებავთ – „გასაკრეფი შუაშისტობა“ (რომელიც აწყობთ, ის აირჩიონ). ე.წ. „კონფიგურაცია“, როგორც „ნაცების“, ისე – „ოცნების“ და „მემარჯვენეებისაც“ ნათლად იყო განსაზღვრული შეკითხვაში (45%+45%+10%), მაშასადამე, „კონფიგურაცია“ სხვა არაფერია, თუ არა სავაჭრო თემა და მათთვის სულერთია, თუ ვის გაურიგდებიან, მთავარია ვინ მეტს გადაუხდის, ვინ მეტ და სარფიან პოსტებს შესთავაზებს; ფერის ცვლა და გარიგება მათთვის ხომ არახალია, ძველია!

**არა მარტო სიტყვით, „მემარჯვენეებმა“ საქმითაც დაუჭირეს ხელისუფლებას მხარი,** როცა კარდაკარ „მუხლჩაუხრელი“ შრომის შედეგად 3 600 000-ზე მეტი ამომრჩეველი დააფიქსირეს მთლიანად. ქვეყნიდან გასულებში კი – მხოლოდ 300 000-ზე ოდნავ მეტი, მაშინ როცა არაოფიციალური მონაცემებით ეს რიცხვი მილიონნახევრამდეა. „ოფიციალური ფორმა-განცხადება“ არ შეგვივსეს გასულების აქ დარჩენილმა ოჯახის წევრებმა და ჩვენ რა უნდა გვექნა, ამომრჩეველთა სიიდან ხომ ვერ ამოვიღებდით მათ, ვისზედაც გაცემულია პირადობის მოწმობა, ყველანი შევიყვანეთ ამომრჩეველთა საერთო სიაშიო“, განაცხადა ბ-მა (ან ვაჟბატონმა) კაციტაძემ.

შე კაი დედ-მამიშვილო, არა – **„შე ოჯახაშენებულო“** უფრო ზუსტია მისი პირდაპირი გაგებით (კომისიისთვის გამოყოფილი 5 მილიონიდან „ატკატის“ გათვალისწინებით), რას წვალობდით და რას ცვეთდით ფეხსაცმელებს კარდაკარ სიარულით, გამოგეთხოვათ სათანადო უწყებიდან გაცემული მოწმობების სია და იმ რამდენიმე მილიონის „გაიმასქნებაც“ ერთ დღეში მოგვარდებოდა! აღებული ფულის „გაპრავება“ გაძნელდებოდა და ყველა მიხვდებოდა? ახლა არ არიან მიხვედრილები ხომ? **„ოფიციალური ფორმის შევსებაზე გვითხრეს უარიო“,** ვითომ, მხოლოდ ერთი კითხვა იყო იმ ფორმაში შეტანილი – „ვინ არის გასული თქვენი ოჯახიდან საზღვარგარეთ“, და ამის დამადასტურებელი ხელმოწერისგან შეიკავეს თავი?! სხვა, დამატებითი ინფორმაციის შეგროვება არ ხდებოდა იმ თქვენი ე.წ. განცხადების საშუალებით?! **დედ-მამის ან მეუღლის სიტყვიერი განცხადება არ იყო სარწმუნო?!** აუცილებლად დამატებითი კითხვარი უნდა შეევსოთ და ხელი მოეწერათ?!

რახან ხელისუფლება მოსახლეობის საყოველთაო აღწერას შეგნებულად არ ატარებს, კარდაკარის მეთოდით სავსებით შესაძლებელი და საკმარისიც იქნებოდა მხოლოდ ერთი მონაცემის დადგენა – თუ რამდენი ამომრჩეველია საქართველოში დარჩენილი (სწორედ ამის გარკვევა შესთავაზა კუკავამ კაციტაძეს, რომელიმე ერთი სოფლის მაგალითზე), ერთი მარტივი არითმეტიკული მოქმედებით კი გასულების რაოდენობაც სულ ადვილად გაირკვეოდა (პირადობის მოწმობების საფუძველზე შედგენილ კაციტაძის საერთო სიას მინუს საქართველოში დარჩენილთა რაოდენობა). კომისიას აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი ორ კითხვაზე: უპირველესად, თუ რამდენი ამომრჩეველია ადგილებზე, და მეორე – რამდენია გასული უცხოეთში (რამდენი წერილობითი განცხადების და რამდენი – სიტყვიერი განცხადების საფუძველზე, და ეს აუცილებლად მითითებული უნდა ყოფილიყო ყველა საარჩევნო უბნის საერთო სიაში ყოველი ასეთი გვარის გასწვრივ). რა თქმა უნდა, სასურველია, ზუსტად ვიცოდეთ, თუ სად მიმოიფანტნენ ჩვენი თანამემამულენი ამ 20 წლის მანძილზე, მაგრამ ამ ინფორმაციის არქონას არჩევნებისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს; აი, დარჩენილ-გასულების ზუსტი ინფორმაციის არქონა კი, და გასულების მხოლოდ 300 ათასით შემოფარგლვა, დიდ შესაძლებლობას იძლევა გაყალბებებისთვის. და ვინაიდან საქართველოში დარჩენილთა სია 1 ოქტომბრამდე ვეღარ დაზუსტდება, უფრო სწორად, აღარ შეიცვლება, ამიტომ დიდი ალბათობით მოსალოდნელია 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სურათის განმეორება, როცა ნახევრად დაცლილ სოფლებში საარჩევნო ურნებიდან ამოსული ბიულეტენების რაოდენობა ამ სოფლებზე გაცემული (საერთოდ) პირადობის მოწმობების რაოდენობას ემთხვეოდა, თითქოს არც არავის მოეცვალოს იქედან ფეხი და არჩევნებზეც 100 %-იანი(!) აქტიურობა დაფიქსირებულიყოს!

წერილის ბოლოს ორიოდ სიტყვა „ობიექტურ და ნეიტრალურ“ ჟურნალისტობაზეც უნდა ვთქვა და იმაზეც, **შესაძლებელია თუ არა ერთდროულად ობიექტურად ყოფნა და ნეიტრალურადაც დარჩენა.** „ობიექტურობა“ რასაც ნიშნავს, გასაგებია ყველასთვის – მოკლედ და კონკრეტულად, ესაა მიუკერძოებელი, სამართლიანი გარჩევა საქმისა თუ გაშუქება მოვლენისა, ანუ, **„ობიექტურობა“, პრინციპში, იგივე პატიოსნებაა.** „ნეიტრალურობა“? ასევე მოკლედ, ესაა არაფერში არ ჩარევა და საკუთარი პოზიციის არგამჟღავნება, ანუ **„ნეიტრალობა“ იგივე ინდიფერენტულობაა** (გნებავთ, უპრინციპობა ან თვალთმაქცობა).

რამდენად შესაძლებელია ანალიტიკოსი ჟურნალისტი (ნებისმიერი მოქალაქე) იყოს ობიექტური და იმავდროულად ნეიტრალური? ვთქვათ, ობიექტურად აღწერა მან ყველაფერი, განა ეს ნიშნავს, რომ ფაქტების კონსტატაცია უნდა მოახდინოს მხოლოდ და მშრალი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს (მსმენელს)? კითხვები: ვინ(?) და რატომ(?) არ უნდა დასვას? მოვლენების არსში ჩაწვდომას არ უნდა ეცადოს? და შემდეგ საკუთარი კრიტიკული მოსაზრება არ უნდა დააფიქსიროს? თუ „არც მწვადის, არც შამფურის დაწვის“ პრინციპით გაურკვეველი შუა პოზიცია უნდა აირჩიოს? **როცა მეზობელს, მეგობარს, ნათესავს უდანაშაულოდ აპატიმრებენ, აწამებენ, სულში აფურთხებენ და სულსაც ხდიან, როცა სამშობლო მიწა-წყალს ასხვისებენ, ყიდიან, როცა იქცევა მთელი ქვეყანა და ა.შ. და ა.შ., ამ დროს ნეიტრალურად ყოფნა, მომკალით და, არ მესმის რას ნიშნავს! საკუთარ ნაჭუჭში შეყუჟვას და ყველაფერზე თვალის დახუჭვას?**

მაგრამ **ასეთი ადამიანი უკვე აღარ არის ადამიანი(!), იგი ხდება ცივსისხლიანი ნეიტრალური(!) არსება, რომელიც რეაქციას მხოლოდ პირადად მასზე მოქმედ გამღიზიანებელზე იძლევა, როცა უშუალოდ მის ნაჭუჭს შეეხებიან! ასეთ არსებას არ შეიძლება სახელი გააჩნდეს, არ შეიძლება იგი იყოს კაცი, მოქალაქე ან ჟურნალისტი!**

**იაკობ ლეჟავა,**
6 სექტემბერი, 2012

# „ნაციონალებმა“ ცოტა ადრე ჩაატარეს ყრილობა, რითაც ოპონენტს საპასუხოდ დრო საკმაოდ ბევრი აქვს



„ნაცმოძრაობის“ ყრილობისა და „ქართული ოცნების“ თელავში გამართულ აქციის შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგს **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.



**— ბატონო რამაზ, გასული შაბათ-კვირა მმართველი „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ განსაკუთრებული აქტიურობით აღინიშნა. „ნაცმოძრაობამ“ 11 ქალაქში პარტიის ყრილობა ერთდროულად გამართა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ — თელავში კარგა ხნის წინათ დაგეგმილი მიტინგი. მთავარი კონკურენტების აქციები საკმაო საფუძველს იძლევა, როგორც განსჯისთვის, ისე შედარებისთვისაც. დავიწყოთ ხელისუფლების აქტიურობით. თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა „ნაცმოძრაობის“ მიერ 11 ქალაქში ორგანიზებულობით გამორჩეულმა და თანამედროვე პიარტექნოლოგიების სრული დაცვით ჩატარებულმა შთამბეჭდავმა აქციებმა და ყრილობამ?**

— სააკაშვილმა მიიღო ივანიშვილის გამოწვევა, მხარეები ერთმანეთს აქციებით დაპირისპირებოდნენ. „ნაცმოძრაობამ“ საკმაოდ კარგად გაუკეთა ორგანიზაცია თავის ღონისძიებას. მაგრამ, გარდა ორგანიზაციული მხარისა და ხალხის რაოდენობისა, ივანიშვილის აქციებს ახლდა კიდევ ერთი სპეციფიკა, ის ყოველთვის ძალიან მშვიდობიანი და, გარკვეულწილად, დადებითი კლიმატის შექმნაზე იყო ორიენტირებული და ამას ახერხებდა. სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობის“ აქციების ტონალობა ძალიან აგრესიული იყო.

**— „ნაცმოძრაობის“ მთავარი გზავნილი დაახლოებით ასეთი იყო — „არჩევანი წარსულსა და მომავალს შორის“ და „ქართული ოცნება“ — რუსული საფრთხე“. მიუხედავად იმისა, რომ სენატორმა მაკკეინმა ივანიშილი არ მიიჩნია კრემლის პროექტად, თავის გამოსვლებში პრეზიდენტი კვლავაც განაგრძობს მტკიცებას, რომ ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მოსკოვის „ბოლო ფალავანია“. თქვენი აზრით, რატომ არ ცვლის სტრატეგიას ხელისუფლება?**

— რადგან აქცენტი მხოლოდ ამაზე კეთდება, ეტყობა, მათ ივანიშვილზე სათქმელი სხვა არაფერი არ აქვთ. ვინაიდან „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ამავე კონტექსტში საუბრობდნენ ყარყარაშვილზე, ხაინდრავაზე, ეს ბრალდება ცოტა კომიკურად გამოიყურება. ყარყარაშვილი არის ადამიანი, რომელიც იარაღით ხელში და სიცოცხლის ფასად იბრძოდა რუსების წინააღმდეგ. როცა დასჭირდა ხელისუფლებას, გოგა ხაინდრავას რუსეთის კაცობა დააბრალა, მაგრამ ეს ბრალდება არც მაშინ გამოიყურებოდა დამაჯერებლად და, გარდა ამისა, ამ ხელისუფლ;ების ერთ-ერთი მინისტრი საკმაოდ დიდ ხანს იყო. რაც შეეხება შევარდნაძის სახეებს, ამ თემაზე „ქართული ოცნების“ ლიდერები ხშირად პასუხობენ, რომ შევარდნაძის სახეები ჟვანია და სააკაშვილი რომ იყვნენ და მათ რომ შევარდნაძეს სამსახური გაუწიეს, ასეთი სამსახური შევარდნაძისთვის არც ერთ პოლიტიკოსს არ გაუწევია. შევარდნაძის სახეებად „რესპუბლიკელებისა“ და ალასანიას მოხსენიება, სულ მცირე, კომიკურად გამოიყურება.

**— თუ პროპაგანდა სიმართლეს მხოლოდ 50%-ით ამბობს, ეს უკვე ცუდი პროპაგანდაა. პროპაგანდაში სიმართლე 80-90% მაინც უნდა იყოს, რომ შემდეგ 10% მოიტყუო. მოგეხსენებათ, პროპაგანდას ტყუილი უყვარს. ხელისუფლების ამ აგრესიულ პროპაგანდაში 10%-ც არ არის სიმართლე. მით უმეტეს იმაში, რაც ივანიშვილს ეხება. უკვე ცნობილია, რომ ივანიშვილი, სხვა მეცენატური საქმიანობის გარდა, ამ ხელისუფლების მეცენატიც იყო. ახლა რა გამოდის, ეს ხელისუფლება რუსული ფულით იკვებებოდა?**

> „ნაციონალებს“ ყრილობა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რომ ჩაეტარებინათ, შესაძლოა, ეს მათთვის უფრო მომგებიანი ყოფილიყო.

— პრეზიდენტის რეგიონებში გამოსვლას ემოციურობა და მგზნებარება ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ რამდენიმე ქალაქში გამოსვლისას მან „ნაცმოძრაობის“ აქციაში მონაწილეებს „საქართველოს საუკეთესო ნაწილი“ უწოდა. რა უნდა ვიფიქროთ, საარჩევნო მარათონში ჩართულ პრეზიდენტს დაავიწყდა, რომ როგორც „ქვეყნის საუკეთესო ნაწილის“, ისე „ცუდი საქართველოს“ პრეზიდენტია?

— ეს მეტოქის მიმართ გამოხატული აგრესიულობის თემას ეხმიანება. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ავიწყდება, რომ მისი პოლიტიკური ოპონენტიც საქართველოს მოქალაქეა, რომ მისი პოლიტიკური ოპონენტის პრეზიდენტიც არის.

**— ზუგდიდში გამოსვლისას პრეზიდენტმა აღნიშნა — „1 ოქტომბერს ჩვენი მტრის უკანასკნელი გაფართხალება-გაბრძოლება იქნება“. პრეზიდენტის ეს განცხადება გაკვირვებას იმის გამო იწვევს, რომ მმართველ გუნდს აქვს პრეტენზია, რომ საქართველოში დემოკრატიას აშენებს...**

— ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნებოდა გასაკვირი, თუ ჩავთვლით, რომ დემოკრატიას არ ვაშენებთ.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ აღიქვა ამომრჩეველმა „ნაცმოძრაობის“ წარმატებული პიარაქცია, მმართველი პარტიის გზავნილები და შეძლო თუ არა „ნაცმოძრაობამ“ ჩატარებული ყრილობით დასახული მიზნების მიღწევა?**

— ამ კითხვაზე პასუხისთვის უცხოეთში ყველა ამგვარი ღონისძიების შემდეგ ატარებენ ხოლმე სოციოლოგიურ კვლევებს და სოციოლოგიით არკვევენ შედეგებს. ჩვენთან სოციოლოგია ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას აღარც მიმართავენ. ერთადერთი, რაც მთლიანობაში შეიძლება ვთქვა, ის არის, რომ „ნაცმოძრაობას“ შეუძლია ძალის შთაბეჭდილების დემონსტრირება და ამას ხშირად წარმატებით ახერხებს. ეს პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს სწორ პოლიტიკას. ძალის დემონსტრირებას ჰიტლერი და კომუნისტები რომ ქმნიდნენ, ბევრს მართლაც არ შეეძლო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა ერთის ან მეორის სისწორეს. მოსახლეობა ხშირად არის ორიენტირებული ძალაზე. ძალაზე იყო ორინეტირებული გასული საუკუნის 30-იან წლებში გერმანიისა და საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე მთელი სსრკ-ს მოსახლეობა, ამის მაგალითები ისტორიაში საკმაოდ ბევრია, ვინაიდან ეს პოლიტიკაში უცხო ხილი არ არის. ძალის დემონსტრირებაში გადამწყვეტია, რა კონდიციამდეა მისული მოსახლეობა. ძალის დემონსტრაციამ აღარ უშველა საბჭოთა სისტემას, როცა ხალხს საბჭოთა სისტემისადმი დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება მიეცა და სწორედ ხალხმა გააპროტესტა საბჭოთა სინამდვილეში ცხოვრება.

პიარტექნოლოგიების თვალსაზრისით, მაინც მგონია, რომ ხელისუფლებას ერთი შეცდომა მოუვიდა. ჩემი აზრით, „ნაციონალებმა“ ცოტა ადრე ჩაატარეს თავისი ყრილობა, რითაც ოპონენტს მათთვის საპასუხოდ დრო საკმაოდ ბევრი აქვს. „ნაციონალებს“ ყრილობა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რომ ჩაეტარებინათ, შესაძლოა, ეს მათთვის უფრო მომგებიანი ყოფილიყო.

**— რას იტყოდით „ქართული ოცნების“ თელავში გამართულ აქციაზე?**

— მეც ძალიან მაინტერესებდა, როგორ ჩატარდებოდა თელავში აქცია. თელავი იმითაც იყო საინტერესო, რომ „ქართული ოცნების“ მეტოქემ აგრესიული სვლა გააკეთა და საინტერესო იყო, რით უპასუხებდა კოალიცია. თელავში ივანიშვილმა „ნაცმოძრაობის“ აგრესიულობას სრულიად საწინააღმდეგო სტრატეგია არჩია და ალბათ, ეს არჩევანი სწორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივად ოპოზიცია გართულია კრიტიკით, კრიტიკა რა თქმა უნდა აქაც იყო, მაგრამ იგი მინიმუმამდე იყო დაყვანილი და ძირითადად კეთილგანწყობის დემონსტრირებაზე იყო ორიენტირებული. მათ შორის იმათ მიმართაც, ვინც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერია. „ნაცმოძრაობის“ აგრესიულობას ივანიშვილმა იმავე ტონალობის აგრესიულობით არ უპასუხა. მან ძირითადი აქცენტი გადაიტანა იმაზე (თუმცა დაიმორცხვა და ბოდიში მოიხადა, რომ ამის თქმა მიწევსოძ, თვითონ რა გაუკეთებია და ახლა რასაც აკეთებს. აღმოჩნდა, რომ ის არ იცდის და ხელისუფლებაში მოსვლამდე გარკვეულ ნაბიჯებს დგამს სოფლის მეურნეობაში და თელავში ამერიკელებთან ერთად ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დასაფუძნებლად. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ივანიშვილმა „ნაცმოძრაობას“ პოზიტივით გასცა პასუხი.

**— ივანიშვილი სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და გამონათქვამებს გამოეხმაურა. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ სააკაშვილ-ივანიშვლის დაუსწრებელ, მაგრამ მაინც საჯარო პოლიტიკურ გაპაექრებაზე? ივანიშვილმა პრაქტიკულად ყველა იმ ბრალდებას უპასუხა, რაშიც მას ბრალს ხელისუფლება სდებს, რუსეთუმეობაზე, პედაგოგების თითქოს დაშინებაზე, მისსავე დამანგრეველობაზე. რამდენად დამაჯერებელი იყო მისი პასუხები?**

— როგორც უკვე ვთქვი, რუსეთუმეობაზე ბრალდება გასაკვირია, ვინაიდან ივანიშვილს იმდენი ქართული საქმე აქვს გაკეთებული, რომ თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მაშინ გამოდის რომ საქართველოზე პუტინი ზრუნავდა. რაც შეეხება პედაგოგებს, მან დააზუსტა, რომ არჩევნების გამყალბებელ და კანონის დამრღვევ მასწავლებლებზე ჰქონდა გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა, რომლებსაც არჩევნების გასაყალბებლად ყველაზე აქტიურად ხელისუფლება იყენებს. არ მივიჩნევ, რომ თავის დროზე პედაგოგებზე მის მიერ ნათქვამი ფრაზა ნაკლებად პოლიტკორექტული იყო და ივანიშვილმა საბოდიშოდ გაიხადა საქმე.

**— ივანიშვილმა სააკაშვილი საზოგადოების ორად გაყოფისა და დაპირისპირების მცდელობაში დაადანაშაულა და იქვე დასძინა — „ეს მათ არ გამოუვათ“. რას შეიძლება ნიშნავდეს ივანიშვილის ეს გამონათქვამი?**

— ეს ყველაზე ძლიერი ბრალდება იყო; ეს იყო ბრალდება არა იმაზე, რომ რაღაც აშენდა ან რაღაც დაინგრა, არამედ მან გაიხსენა 90-იანი წლები, უახლეს ქართულ ისტორიაში ყველაზე მტკივნეული პერიოდი. ივანიშვილმა ცალსახად მიანიშნა ყველას, რომ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ ხელის კვრა დაუშვებელია. ხელისუფლების აგრესიულობის ფონზე ივანიშვილის საყვედური საფუძვლიანია. ახლა ხელისუფლების ისეთი წარმომადგენლებიც კი ხდებიან აგრესიულები, რომლებიც ადრე არ იყვნენ, ეს ეხება ბაქრაძეს, უგულავას. მათი ამგვარი აგრესიულობა ჩვეულებრივ მოქალაქესაც აგრესიულობისკენ უბიძგებს. ამ თემაზე საუბრით ივანიშვილს სურდა, საზოგადოებისთვის დაენახვებინა, რომ ხელისუფლებას საქმე დაპირისპირებისა და უმართავი პროცესებისკენ მიჰყავს. ამ თემაზე ივანიშვილის ადრესატი უფრო საზოგადოება იყო ვიდრე მისი ოპონენტი გუნდი.

**— თელავში გამოსვლისას ივანიშვილმა ერთხელ კი თქვა — „მე და „ქართული ოცნება“ დავანგრევთ შიშსა და უსამართლობას“, მაგრამ ხაზგასმით რამდენჯერმე გაიმეორა — „ცოტაც გაუძელით“, „ცოტაც გაუძელითო“, თქვენი აზრით, რა აძლევს მას იმის მტკიცების საფუძველს, რომ „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებს აუცილებლად მოიგებს?**

— ვერ გეტყვით, ეს მისი საიდუმლოა და ალბათ, მან იცის. ხელისუფლებამ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მართლაც ბევრი მექანიზმი აამოქმედა. ისიც ცხადია, რომ სახელისუფლო გუნდი ამ მექანიზმებს საკმაოდ კარგად ფლობს. სულ ახლახან მომაწოდეს ინფორმაცია, თითქოს მოსახლეობას ეუბნებიან, რომ საარჩევნო უბნის კაბინის საწერ კალამში დამონტაჟებულია აპარატი, რომელიც ხელისუფლებას შეატყობინებს, თუ ვის მისცეს მათ ხმა. ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ ხელისუფლება იბრძვის და იბრძვის საკმაოდ თავგანწირვით. ივანიშვილის მხარეს სწორედ იმის იმედი აქვს, რომ ხელისუფლება ასეთ თავგანწირვაში მეტ შეცდომებს დაუშვებს.

**— ივანიშვილის გამოსვლების მთელი ტექსტი იმდენად კარგად არის გააზრებული, იმდენად მარტივად და გასაგებად ითქმება სათქმელი, რომ წარმოუდგენელია, კარგი სპიჩრაიტერები არ ჰყავდეს. თქვენ ხომ არ იცით, ივანიშვილის გამოსვლებს ვინ ამზადებს? და კიდევ, საინტერესოა ისიც, რომ კოალიციის ლიდერი საუბრობს არა როგორც ქვეყნის მმართველობაზე პრედენდენტი, არამედ როგორც პრეზიდენტი...**

— დიახ, მართლაც ივანიშვილის გამოსვლები გამოირჩევა ამ თვალსაზრისით. არ გამოვრიცხავ, რომ ტექსტის შექმნაში მონაწილეობას თანაგუნდელებთაგან ადამიანთა გარკვეული წრე იღებდეს მონაწილეობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი გამოსვლების ძირითად მიმართულებებს თავად ივანიშვილი განსაზღვრავს. ნორმალურ ქვეყნებში პოლიტიკოსთა გამოსვლების ტექსტების მზადების პრაქტიკა აპრობირებული ფორმაა.

რეგიონებში ივანიშვილის ყველა საჯარო გამოსვლა შინაარსობრივად მართლაც საინტერესო და პოლიტიკურად გამართული იყო, მაგრამ თელავში გამოსვლა მართლაც გამორჩეული გახლდათ. პრაქტიკულად, ასეთი პროგრამული თვალსაზრისით სრული მოხსენება ივანიშვილისგან ჩვენ რეგიონში პირველად მოვისმინეთ. მასში ნაკლებად იყო ლოზუნგები და იყო საკმაოდ ბევრი კონკრეტიკა. პირადად მე, სრულებითაც არ მიკვირს, რომ იგი პრეზიდენტივით ლაპარაკობს. საქმე ის არის„ რომ ქვეყანაზე ფიქრი და ზრუნვა ამ კაცს გასული წლის ოქტომბერში არ დაუწყია, როცა პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ივანიშვილი, როგორც საჯარო პოლიტიკოსი, მის ყველა გამოსვლაში გვაკვირვებს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მას არც პოლიტიკოსისთვის საჯარო გამოსვლებისთვის აუცილებელი ნიჭი აკლია.

> რეგიონებში ივანიშვილის ყველა საჯარო გამოსვლა შინაარსობრივად მართლაც საინტერესო და პოლიტიკურად გამართული იყო, მაგრამ თელავში გამოსვლა მართლაც გამორჩეული გახლდათ. პრაქტიკულად, ასეთი პროგრამული თვალსაზრისით სრული მოხსენება ივანიშვილისგან ჩვენ რეგიონში პირველად მოვისმინეთ.

**კოკა ბენდელიანი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# არჩევნების წინ რეჟიმი საქართველოში თავის ჭეშმარიტ სახეს ავლენს

**როგორც ადრე იტყობინებოდნენ, არჩევნები საქართველოს პარლამენტში ახლოვდება და მოქმედი რეჟიმის ფობიამ წარმოუდგენელ დონეს მიაღწია. სააკაშვილი და მისი პარტია თავისუფლად მოქმედებდნენ ერთპარტიული რეჟიმის პირობებში თითქმის 9 წლის განმავლობაში – ამის გამო განვითარდა ყოვლისშემძლეობის სინდრომი, რაც დაბრკოლებად იქცა ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ობიექტური შეფასებისთვის.**

როგორც ადრეც არაერთგზის აღგვინიშნავს, საქართველოში ყველა ოპოზიციურ პარტიაზე პოლიტიკური ზემოქმედება უკვე ორი წელიწადია მიმდინარეობს, მაგრამ ოქტომბერში პარლამენტის არჩევნების მოახლოებასთან და რეჟიმის მტკივნეულ „შიშთან“ დაკავშირებით ყველას წინაშე პოლიტიკური სიტუაცია უკვე ემგვანება წინასაარჩევნო სცენარს ბელარუსში ამ ორი წლის წინათ.

ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც სათავეში ფრანგი-ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი და საფეხბურთო კლუბ „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი კახი კალაძე უდგანან, შექმნა ოპოზიციის ყველა იმ ძირითადი პარტიის ერთიანი კავშირი, რომლებსაც სურთ, რეალურად შეცვალონ სიტუაცია საქართველოში და საფუძველი ჩაუყარონ ქვეყნის ნამდვილ დემოკრატიას.



სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ცივილიზებული პოლიტიკური ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი პარტიის ხელისუფლება თითქმის ტოტალურია. სააკაშვილის პერსონიფიცირებული „რეფორმების წყალობით“, სახელმწიფო და მისი სტრუქტურები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მის პოლიტიკურ პარტიასთან. შედეგად, წინასაარჩევნო გარემოს არ შეუძლია დაიცვას რაიმე დემოკრატიული ნორმები, რაც საჭიროა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პატიოსანი შედეგები, კონტროლი გაეწიოს არჩევნების მთელ პროცესს და თავიდან იქნეს აცილებული მასობრივი ფალსიფიკაცია მოქმედი მთავრობის სასარგებლოდ.

უკვე არავისთვისაა საიდუმლო ის ფაქტი, რომ საქართველოში სინამდვილეში არ არსებობენ თავისუფალი ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ სახელმწიფოს კორექტული საქმიანობის გარანტია და დაიცვან კონსტიტუცია. ქვეყნის იურიდიულ სისტემას არ გააჩნია უმცირესი თავისუფლებაც კი, პოლიტიკური კორუფცი კი სააკაშვილის პარტიის ერთადერთ ბუნებრივ გაგრძელებად გეჩვენება. ამას გარდა, საქართველოში თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვა შორეულ ოცნებად რჩება, სახელმწიფოს ზემოქმედება და კონტროლი კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ტოტალურია.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში საქართველო და მისი ინსტიტუტები ფაქტობრივად სააკაშვილის პარტიის მიერ სრულად „პრივატიზირებული“ აღმოჩნდნენ. სააკაშვილის ყველა პარტიას შეუძლია კონტროლი გაუწიოს მთელს ქვეყანას. მიუხედავად ამისა, ოპოზიციურ პარტიებს სურთ მიიზიდონ რაც შეიძლება მეტი ყურადღება დასავლეთის მხრიდან, რათა აიძულონ სააკაშვილი, უარი განაცხადოს თავისი პოლიტიკური ოპონენტების დევნაზე, ძალადობასა და პერსონალურ შეტევაზე.

ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შეტაკების ფონზე პრეზიდენტ სააკაშვილსა და ოპოზიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილს შორის, რომელსაც უარი უთხრეს საქართველოს მოქალაქეობაზე, მიდის ახალი პერსონალური შეტევა კახი კალაძეზე. ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის ადგილობრივმა სასამართლომ დიდი სისწრაფით გადაწყვიტა, გაეყინა მისი მთელი ქონება და მიმდინარე საბანკო ანგარიშები მასთან დაკავშირებული ახალი სახელმწიფო გამოძიების გამო.

„ვარდების რევოლუციამ“, რომელმაც ხელისუფლებაში სააკაშვილი მოიყვანა, ვერ მოუტანა სასურველი შედეგები დასავლეთს და აღმოჩნდა მხოლოდ პოლიტიკური ოპერაცია სახელმწიფოზე ტოტალური კონტროლის ხელში ჩასაგდებად. აქვე გვინდა შევახსენოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო ედუარდ შევარდნაძის საყვარელი „მოწაფე“ და მის დროს იუსტიციის მინისტრად მუშაობდა.

სიმართლე არის ის, რომ მთელმა დასავლეთმა უკეთესი ანალიზი უნდა გაუკეთოს რეალური ფაქტების დინამიკას და ნაკლებად დაიცვას „პროექტი“ სააკაშვილის ხელმოწერით. მაშინ, როდესაც დასავლეთი ევროპა იწყებს ზოგიერთი თავისი შეცდომის შემეცნებას, შეერთებული შტატები რჩება თბილისში მოქმედი რეჟიმის პირდაპირ მომხრედ, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სერიოზულ და რთულ მდგომარეობაში აყენებს ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკას...

იმ დროს, როდესაც საქართველოს საშინაო პოლიტიკა რჩება წმინდა ქართულ საქმედ, და რომ მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია დაიწყოს ჭეშმარიტი ცვლილებები ქვეყნის დემოკრატიზაციის მიმართულებით, დასავლეთელებმა უნდა შეძლონ უკეთესი ანალიზი გაუკეთონ მეზობელი ქვეყნების საშინაო დინამიკას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც არ შეესაბამება ჩვენს ღირებულებებს. უკანასკნელ პერიოდში დასავლეთმა გააკეთა ძალიან ბევრი მცდარი პოლიტიკური გაანგარიშება აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ზოგიერთი ქვეყნის მიმართ, და პირველ რიგში საქართველოსთან და უკრაინასთან დაკავშირებით...

l'Occidentale
orientamento quotidiano

# არჩევნები საქართველოში: რუსეთის მკაცრი თამაში და დიპლომატიური დასავლეთი

**თავის დროზე ვწერდით, რომ სააკაშვილისა და ივანიშვილის საპრეზიდენტო ორთაბრძოლაში წინასაარჩევნო ფსონები მეტად დიდია, მოსკოვი კი იყენებს ყველაზე გაცვეთილ ფორმებს, რათა გავლენა მოახდინოს თავის პატარა მეზობელზე: რეგიონის ფართომასშტაბიანი მილიტარიზაციიდან დაწყებული შეიარაღებული ბანდების დანერგვისა და სამხედრო სწავლებებით დამთავრებული საქართველოს საზღვრების მახლობლად. თუმცა, ამასთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკის სამყაროში ყოველ მოქმედებას ყოველთვის თან ახლავს უკუქმედება...**

უკვე 4 და 5 სექტემბერს საქართველოში იყვნენ ევროპული პროგრამის „აღმოსავლური პარტნიორობა“ არქიტექტორები – პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი. ვიზიტის საერთო გზავნილი არ ტოვებდა არანაირ ეჭვს, განსაკუთრებით ხსენებული პოლიტიკოსებიდან მეორის გამონათქვამის შემდეგ, რომ: „საქართველოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეშინოდეს რუსეთის სწავლებებისა „კავკასია-2012“.

მიუხედავად ამისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ტანდემი სიკორსკი-ვესტერველე უკანასკნელ პერიოდში შეიცვალა ტანდემით სიკორსკი-ბილდტი. ეს, სამწუხაროდ, აშკარა სიგნალია მოსკოვის მისამართით, რომ ყველაზე სერიოზული ევროპული მოთამაშე (გერმანია) არ არის დაინტერესებული პოლიტიკური ხაზის „აღმოსავლური პარტნიორობის“ წინსვლაში.



6-7 სექტემბერს – ვიზიტით ჩრდილოეთ კავკასიაში იყო აგრეთვე ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან საუბარში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ალიანსის კარი საქართველოსთვის ღიაა“. მან შეაქო ამჟამინდელი საქართველოს ხელმძღვანელობა განხორციელებული რეფორმებისთვის და ნატოს ავღანეთის მისიაში მონაწილეობისთვის. ეს მგზავრობა, უეჭველია, ასევე ინსპირირებული იყო რუსეთის აქტივობით კავკასიაში.

რასმუსენის ამჟამინდელი ვიზიტი შესანიშნავად ერწყმის დიპლომატიური რეაქციის სქემას რუსეთის მკაცრ და კონკრეტულ მოქმედებებთან დაკავშირებით. დასავლეთის მსუბუქ აქტივობას, როგორც რეაქციას თბილისზე ზემოქმედების გაბედულ რუსულ ფორმებზე, ამთავრებს ამერიკელი სენატორების ჯონ მაკკეინისა და ჟოზეფ ლიბერმანის ვიზიტი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩის რიჩარდ ნორლანდის ჩასვლა ყვარელში, რომლებსაც შეხვდა პირადად მიხეილ სააკაშვილი.

Polityka Wschodnia

## დედამიწის ზურგზე



**ბუშმა და მისმა ადმინისტრაციამ უგულებელყვეს შვიდი სერიოზული გაფრთხილება 11 სექტემბრის ტერაქტის მზადებასთან დაკავშირებით**

2001 წლის მაისიდან აგვისტომდე თეთრ სახლში შემოვიდა რამდენიმე მოხსენება შეტევის შესახებ ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებით, რასაც უნდა გამოეწვია მრავალრიცხოვანი მსხვერპლი. მაგრამ ბუშს ეჭვი ეპარებოდა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ცნობებში და უფრო მეტად უსმენდა პენტაგონს, სადაც დარწმუნებული იყვნენ, რომ ბინ ლადენი მხოლოდ ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს. ახლა ბევრს მიაჩნია რომ ადმინისტრაციამ გამაოგნებელი გულგრილობა გამოიჩინა.

* * *

**ფილმის შექმნაში, რის გამოც ორ ქვეყანაში დაარბიეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოები, მონაწილენი აღმოჩნდნენ პასტორი ჯონსი და „ასი ებრაელი“**



ამერიკულმა ფილმმა „მუსლიმანების უდანაშაულობანი“ ვერ მოასწრო გამოსვლა, რომ ქსელში გაჩნდა, რის გამოც გააფთრებულმა მუსლიმანებმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოების თანამშრომლებზე – შედეგად დაიღუპა ერთი კაცი. მუსლიმანების თავდასხმა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე ემთხვევა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მეთერთმეტე წლისთავს.

* * *

**„ნოვაია გაზეტა“: გავრცელებული ხმებით, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დააკავეს თვითმარქვია „პუტინის მრჩეველი“, რომელიც მონაწილეობდა თანამდებობების ყიდვა-გაყიდვაში**



რუსეთის მოქალაქეს მიხაილ კორიაკს ბრალს სდებენ მოსკოვის გარეუბნელ მეწარმე ტატიანა ბალზამოვაზე თავდასხმასა და შემნახველი ბანკიდან მისი კუთვნილი 20 მილიონი ევროს მოპარვაში. გამოძიება ასევე არ გამორიცხავს, რომ კორიაკი იყო შუამავალი დიდი თანხების გადაცემაში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნისთვის.

* * *

**80-ზე მეტი კაცი ცოცხლად დაიწვა პაკისტანის სამკერვალო ფაბრიკაში**

ხანძრის გაჩენის მიზეზებს ჯერჯერობით სწავლობენ. ამ დროს იტყობინებიან, რომ ქვეყანაში მოხდა კიდევ ერთი დიდი ხანძარი – უკვე ფეხსაცმლის ფაბრიკაში, რომლის მსხვერპლიც სულ ცოტა 39 კაცი გახლდათ. შენობაში ხანძარი გაჩნდა ელექტრული გენერატორის ნაპერწკლისგან.

◎ დაკარგული პერსპექტივა





# ეს საქმე რომ გამოსულიყო, პალიასტომის ტბაც „ამოისუნთქავდა“, მდინარე ყვირილაც „გაცოცხლდებოდა“...

**არაერთხელ გვქონია ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ჩვენში ნებისმიერი საქმე თუ ფერხდება, ანდა, სულაც, ადგილიდან არ იძვრის, ამის ბრალი, უწინარესად, ხელმძღვანელთა არაპროფესიონალიზმი და საქმისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომაა. ამის მაგალითებიც არაერთგზის მოგვიყვანია, მაგრამ ბოლო დროს ხელმძღვანელთა საქმისადმი უგულოდ, ყოველგვარი დაინტერესების გარეშე მიდგომა სულ უფრო მეტად იჩენს თავს, ამის კლასიკური მაგალითია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელთა არაკომპეტენტურობა ლამის დედაქალაქის ფოლკლორში შესული.**

— მოგეხსენებათ, რუსთავის აზოტოვან სასუქთა ქარხნის პროდუქციას ქვეყნისთვის უდიდესი შემოსავალი მოაქვს. აზოტოვანი სასუქი, ცხადია, საჭიროა, მაგრამ ჩვენმა ინჟინრებმა ბუნებრივ ნედლეულზე ახალი ტიპის სასუქის დამზადება შეძლეს, რომლის ბუნებრივი კომპონენტების გამოყენებას, ასევე, დიდი სარგებლობის მოტანა რეგიონებშიც შეუძლია, — ამბობს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი **პაატა თვალაძე**. — რამდენიმე ხნის წინათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან მივედი ამ **ახალი სასუქის წარმოების გაშლის პროექტით, რომელიც 70 პროცენტით უფრო მომგებიანია, ვიდრე აზოტის სასუქი. ტონა ახალი სასუქის საწარმოებლად 120 ლარის დანახარჯია გასაწევი, მსოფლიო ბაზარზე კი იგი 600 დოლარად იყიდება!** აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ საწარმოო სიმძლავრეთა უქონლობის პირობებში პოტენციური კლიენტებიც გვყავდა ისრაელიდან, საუდის არაბეთიდან და ყაზახეთიდან. თანაც ისიც მინდა გითხრათ, რომ **თუკი აღნიშნულ სასუქს მსოფლიოს ბაზარზე, რომ იტყვიან, „კარგად შეფუთულს“ გავიტანთ, ტონის 1000 დოლარად გაყიდვასაც კი შევძლებთ!** წარმოგიდგენიათ, რა მოგების მოტანა შეუძლია ამ პროდუქციას ქვეყნისთვის? **ამ საქმის წამოსაწყებად კი, დართული კალკულაციის მიხედვით, მთლიანად 6 მილიონი ლარის კაპიტალდაბანდებაა საჭირო, ხოლო საქმიდან მიღებული წლიური შემოსავალი — 100 მილიონი დოლარია.** ქალბატონმა ვერონიკა ქობალიამ დაავალა ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტს საქმის გარკვევა, თუმცა საქმე ადგილიდან არ დაძრულა, დასკვნა კი მისი პასუხიდან თავად გამოიტანეთ: — ეგ ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ საამისოდ ფული არა გვაქვსო...

ყველაზე საინტერესო ამ საქმეში მაინც ის არის, რომ თავად სასუქი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, რომელთაგან თითოეულის მოპოვება, ასე ვთქვათ, წარმოშობის ადგილიდან მისი მოშორება, უკვე დიდი საქმეა როგორც ადგილობრივად, ასევე, მერწმუნეთ, მთლიანად საქართველოს ბუნებისთვის, რის თაობაზე შეგიძლიათ თავადაც იმსჯელოთ. ერთი კომპონენტია ბიოლოგიური თიხა, რომელიც ბათუმის, ქობულეთისა და ფოთის გამწმენდი ნაგებობებიდან უნდა ამოგველო. მეორე კომპონენტია საპროპელი, რომელმაც პალიასტომის ტბა, რომ იტყვიან, „შეჭამა“. ბევრმა იქნებ არ იცის, რომ დღესდღეობით პალიასტომის მაქსიმალური სიღრმე 3 მეტრია, დანარჩენი კი სულ საპროპელია, რომელმაც, იქაურობა ერთიანად გაავსო. ამდენად, საპროპელის მოპოვების შედეგად ტბა, რომ იტყვიან, სუნთქვას დაიწყებდა... მინერალური სასუქის კიდევ ერთი კომპონენტია მდინარე ყვირილას მოყოლილი მანგანუმი, რომელიც ათწლეულების მანძილზე აბინძურებს იქაურობას და, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოკლა მდინარე... არის კიდევ რამდენიმე კომპონენტი, მაგრამ, ვფიქრობ, ამის ჩამონათვალიც კმარა საამისოდ, რომ გონიერმა მეურნე სახელმწიფო ჩინოსანმა (აბა, ეკონომიკის მინისტრი სხვა ვინაა, იქნებ ვინმემ გვითხრას?) რკინის ქალამნები ჩაიცვას და იდეის განსახორციელებლად საჭირო თანხების მოძიებას თავად თუ არ შეუდგება, თავის დაქვემდებარებული თავკომბალა სამინისტროს ჩინოსნებს დაავალებს.

საქმე ადგილიდან რომ დაძრულიყო, იმდენი სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა, იმდენი ხალხი დასაქმდებოდა ადგილზეც, სათაო წარმოებაშიც... 5-6 საბადოც ამუშავდებოდა, რასაც ამხელა მოგება მოყვებოდა... საკითხის განხილვას ერთი გონიერი ქალბატონი ესწრებოდა, რომელმაც თქვა, ამ საქმის კერძო სტრუქტურისთვის გადაცემა არ შეიძლება, თავად სახელმწიფომ უნდა მიხედოსო, მაგრამ ამას აბა რა აზრი ჰქონდა, საქმე ისევ „გაყინულია“.

ბატონ თვალაძის თქმით, საქმისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის მხრივ ცალკე სალაპარაკოა საქართველოში წყლის პრობლემა. ჰიდროგეოლოგიიდან ცნობილია, რომ საქართველოში, ორი უზარმაზარი არტეზიული აუზია, რაიონისა და ალაზნის, არადა კახეთიც უწყლობით იხრჩობა და იმერეთიც. არადა პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა წვრილი ჭაბურღილების გასაბურღავად დაახლოებით 20 დაზგა, რომელიც მანქანაზეა დამონტაჟებული, კიდევ ცხადია, ბურღვისთვის საჭირო აღჭურვილობა, მასალები და ორ წელიწადში საქართველოში წყლის პრობლემა არსად აღარ იქნება. ყველა ეს მასალა აგერ, გვერდზეა, აზერბაიჯანში, სადაც ჩასვლა უნდა და შეძენა, მერე კი საქმის გაკეთება. თითო სოფელში 2-2 ჭაბურღილი რომ გაიბურღოს, გვერდით დაუდგეს წყლის ავზი, მთელი მოსახლეობა მომარაგდება!

კიდევ ერთი საკითხია მაღალმთიან სოფლებში, სადაც გაზი გაყვანილი არ არის და კაცმა არ იცის როდის მივა, ზამთარში შეშით გათბობის პრობლემის გადაჭრა, რომელიც თან ხარჯიანია, თანაც გარემოს დიდ ზიანს აყენებს. ადგილობრივი მართვის რამდენიმე რაიონის ხელმძღვანელობას შევთავაზეთ ნებისმიერი ტევადობის, თხევადი ავტონომიური გაზის თერმოსების დაყენება და დენის გენერატორების გათბობის სისტემისა და ა. შ. ამუშავება. შედეგად სკოლების ინდივიდუალური გათბობა ექნებათ, ასევე ამბულატორიებს, საავადმყოფოებს, სოფლის სხვა დაწესებულებებს. ამ ყველაფრის ქვეყნის მასშტაბით გაკეთება წელიწადნახევარ-ორ წელიწადში შეიძლება, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არსაიდან არის, ხალხი ზის და ჩინოსანთა გადაწყვეტილებას ელის. არადა, ზამთარიც შორს არ არის.

**ოთარ ტურაბელიძე**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და სებ-ის პრეზიდენტის 2012 წლის 6 აგვისტოს №49 განკარგულებისა, 2012 წლის 2 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №208) ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (დაახლოებით 2650 კვ.მ. ფართი, მათ შორის: 1300 კვ.მ. — სუფთა საოფისე ფართი; 500 კვ.მ. — დამხმარე ფართი (სანკვანძი, აივანი, კიბის უჯრედი, ლიფტის შახტა); 850 კვ.მ. — ავტოსადგომი შენობის მინუს ერთ და მინუს ორ სართულებზე), მდებარე: ქ. თბილისი, ვ. ბერიძის ქ. №6.

უძრავი ქონების საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) აშშ დოლარის (აუქციონის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბეს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, ბეს შეტანის დღეს არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ მოხდება შეძენილი უძრავი ქონების ღირებულების დაფიქსირება ეროვნულ ვალუტაში, რომლის გადახდაც სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბეს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ბეს შემოტანის დღეს არსებული კურსით. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბეს“ შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 50 000 დოლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ უძრავი ქონების მყიდველის სახელზე გადაფორმება მოხდება 10 დღის განმავლობაში, ხოლო შენობის დაცლა და გადაცემა სამი თვის ვადაში.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე. შემოტანილი ბეს საფასურის უკან დაბრუნდება მოხდება შემოტანილი ბეს ლარების შესაბამისად.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს (ტელ: 2 40-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი №310) ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge, უძრავი ქონების სანახავად მიმართეთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

ფეხბურთი

# არც ისე წვიმს...



**გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, თამაშამდე რომ ვინმეს ასეთი შედეგი გაემეტებინა ჩვენთვის, სიამოვნებით მოვაწერდით ხელს.**

**ხუმრობა საქმე ხომ არაა — ესპანეთის ნაკრები, 2008 წლიდან მოყოლებული, შიშის ზარს სცემს მთელ საფეხბურთო სამყაროს, ტიტულს ტიტულზე იგებს და, ბევრმა, ლამისაა სპორტის უპოპულარულესი სახეობის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო გუნდად მიიჩნიოს.**

ჰოდა, აი, ასეთ მრისხანე მეტოქეს საქართველოს ეროვნული ნაკრები გმირულად დაუხვდა და ცოტა დააკლდა სენსაციამდე.

სხვათა შორის, ეს გახლდათ რვიდან მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი (ბრაზილიისა და არგენტინის გარდა), რომელიც თბილისს ეწვია. ჯერჯერობით „ჯვაროსანთა“ ბიოგრაფიას ურუგვაელებთან გამარჯვება და იტალიასთან მოპოვებული ერთი ქულა ამშვენებს. რამდენიმე წუთიც და აქტივს პირენეელებთან ვაჟკაცურ ბრძოლაში გაფორმებული კიდევ ერთი ზავით გავიმდიდრებდით, მაგრამ...

**„მუნდიალ — 2014“-ის შესარჩევი ტურნირი.**

**ევროპა. VII ჯგუფი.**

**საქართველო — ესპანეთი 0:1 (0:0)**

**საქართველო: ლორია (კვასხვაძე), ლობჟანიძე, კაშია, ამისულაშვილი, კვირკველია, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი, თარგამაძე (ძალამიძე), ოქრიაშვილი, მჭედლიძე (სირბილაძე).**

**მწვრთნელი: თემურ ქეცბაია.**

**ესპანეთი: კასილასი, არბელოა (ფაბრეგასი), პიკე, რამოსი, ალბა, სილვა (კასორლა), ხავი, ბუსკეტსი (პედრო), ინიესტა, ხაბი ალონსო, სოლდადო.**

**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე.**

**გოლი: სოლდადო (87-ე წუთი).**

**მსაჯი: სევინ ოდივარ მოენი (ნორვეგია).**

ბელარუსთან საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო მატჩის მოგების შემდეგ „ქეცბამ“ გულისტკივილით აღნიშნა, ჩვენი გამარჯვება რატომღაც მხოლოდ ილბლიანობას და ბიჭების თავდადებას მიეწერაო. ვინ იცის, იქნებ საფუძვლიანიც იყო მისი საყვედური. სამაგიეროდ, ახლა უნდა შევუქოთ თემურის და მის რაზმს ტაქტიკური განსწავლულობა.

მოგეხსენებათ, თანამედროვე მწვრთნელთა აბსოლუტური უმრავლესობა ამაოდ ცდილობს იმ რეცეპტის მიგნებას, რომლითაც ღირსეულად გაუმკლავდება „საუკუნის ჭირს“. მართლაც, როცა თითქმის მთელი სათამაშო დროის განმავლობაში ბურთს „ფურია როხა“ ფლობს და პრესინგის მიუხედავად, ნაირ-ნაირ კომბინაციებს ხლართავს, იძულებული ხარ მას მინდვრის ცენტრი დაუთმო და დაცვა გაამაგრო. აი, სწორედ მაშინაა საჭირო ტაქტიკურ არსენალში ისეთი ელემენტების შეტანა, რომლითაც მაქსიმალურად შეუზღუდავ „წითელ არმადას“ სივრცეებს და მის ვარსკვლავებს საკუთარ მახეში გააბამ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მასპინძელთა თავკაცმა და მისმა შეგირდებმა ეს შეძლეს, რისთვისაც ქებას იმსახურებენ.

დასაფასებელია სლავებთან მატჩის შემდეგ განხორციელებული ცვლილებებიც. კერძოდ, მეტისმეტად ჩაპუტკუნებული გრიგალავას პოზიცია მარცხენა ფლანგზე კვირკველიას მიენდო, კაშია დაცვის ცენტრში ამისულაშვილს შეუწყვილდა, ხოლო გურამის ადგილი უკანა ხაზის მარჯვენა ფრთაზე ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა ლობჟანიძემ დაიკავა. რაც შეეხება ანანიძის არყოფნას, იგი ავადმყოფობის გამო გამოაკლდა პარტნიორებს, ეს კი აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა ჩვენი გუნდისთვის, რადგან ისედაც განვიცდით მინდვრის ცენტრში ბურთის დამჭერისა და სტანდარტული მდგომარეობების კვალიფიციურად შემსრულებლის დეფიციტს.

და ბოლოს: შესვენებისას ერთმა პატივცემულმა კოლეგამ ხაზი ქეცბაიას ყისმათს გაუსვა — ეტყობა, ის ეპიზოდები იგულისხმა, როცა ჯერ სილვას შორეული გასროლის შემდეგ მოიგერია ბურთი ძელმა, ხოლო შემდეგ ლორიამ მოუგო დუელი მასთან ხავის ფილიგრანული გადაცემის შემდეგ პირისპირ გასულ სოლდადოს.

რა იცოდა გამოცდილმა კალმოსანმა, რომ მეორე ტაიმში სწორედ ფორტუნა უმუხთლებდათ ქართველებს — გავიხსენოთ ამისულაშვილის „გასაუბრება“ ძელთან, გუნდის ლიდერად ჩამოყალიბებული ლორიას ტრავმა და სირბილაძის უძლიერესი დარტყმა, როცა რამოსი ბურთს ჰოკეის მსგავსად გადაეღობა.

მართლაც რომ დასანანია, სასწაულამდე რამდენიმე წუთი რომ დაგვაკლდა.





**დანარჩენი შედეგები: I ჯგუფი.** ბელგია — ხორვატეთი 1:1, სერბეთი — უელსი 6:1, შოტლანდია — მაკედონია 1:1.

სერბეთი, ბელგია, ხორვატეთი — 4-4, შოტლანდია — 2, მაკედონია — 1, უელსი — 0 ქულა.

**II ჯგუფი.** იტალია — მალტა 2:0, ბულგარეთი — სომხეთი 1:0.

იტალია, ბულგარეთი — 4-4, სომხეთი — 3, ჩეხეთი, დანია — 1-1, მალტა — 0 ქულა.

**III ჯგუფი.** ავსტრია — გერმანია 1:2, შვედეთი — ყაზახეთი 2:0.

გერმანია — 6, შვედეთი, ირლანდია — 3-3, ავსტრია, ყაზახეთი, ფარერები — 0-0 ქულა.

**IV ჯგუფი.** თურქეთი — ესტონეთი 3:0, უნგრეთი — ჰოლანდია 1:4, რუმინეთი — ანდორა 4:0.

რუმინეთი, ჰოლანდია — 6-6, უნგრეთი, თურქეთი — 3-3, ესტონეთი, ანდორა — 0-0 ქულა.

**V ჯგუფი.** ნორვეგია — სლოვენია 2:1, შვეიცარია — ალბანეთი 2:0, კვიპროსი — ისლანდია 1:0.

შვეიცარია — 6, ისლანდია, ალბანეთი, ნორვეგია, კვიპროსი — 3-3, სლოვენია — 0 ქულა.

**VI ჯგუფი.** ისრაელი — რუსეთი 0:4, პორტუგალია — აზერბაიჯანი 3:0, ჩრდილოეთი ირლანდია — ლუქსემბურგი 1:1.

რუსეთი, პორტუგალია — 6-6, ლუქსემბურგი, ჩრდილოეთი ირლანდია, აზერბაიჯანი, ისრაელი — 1-1 ქულა.

**VII ჯგუფი.** საქართველო — ესპანეთი 0:1, საფრანგეთი — ბელარუსი 3:1.

საფრანგეთი — 6, ესპანეთი, საქართველო — 3-3, ფინეთი, ბელარუსი — 0-0 ქულა.

**12 ოქტომბერი.** ფინეთი — საქართველო, ბელარუსი — ესპანეთი.

**VIII ჯგუფი.** საბერძნეთი — ლიტვა 2:0, ბოსნია — ლატვია 4:1, სლოვაკეთი — ლიხტენშტეინი 2:0.

ბოსნია, საბერძნეთი — 6-6, სლოვაკეთი — 4, ლიტვა — 1, ლატვია, ლიხტენშტეინი — 0-0 ქულა.

**IX ჯგუფი.** ინგლისი — უკრაინა 1:1, პოლონეთი — მოლდოვა 2:0, სან-მარინო — ჩერნოგორია 0:6.

ჩერნოგორია, ინგლისი, პოლონეთი — 4-4, უკრაინა — 1, სან-მარინო, მოლდოვა — 0-0ქულა.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ზევით და ზევით, მაღლა და მაღლა

**გრძელდება საქართველოს პირველი ჩოგანის ანა ტატიშვილის შთამბეჭდავი სეზონი.**

ქალთა საერთაშორისო ასოციაციის რეიტინგში 52-ე პოზიციამდე აღზევებულმა 22 წლის „ჯვაროსანმა“ კანადის ქალაქ კვებეკში დაწყებული „ჩელენჯბელის“ (საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარი) სტარტზე ორსაათიანი ბრძოლა სამ სეტში მოუგო ყაზახეთის სახელით მოთამაშე ბულგარელ სესილ კარატანჩევას — 7:5, 1:6, 6:1, მონაგარი 30 ქულით გაიმდიდრა და მერვედფინალში მე-7 ნომრად განთესილ ხორვატ პეტრა მარტიჩს შეხვდება.

რაც შეეხება შემდგომ შესაძლო წარმატებებს, ისინი ასე დაფასდება: მეოთხედფინალი — 70 ქულა, ნახევარფინალი — 130 ქულა, ფინალი — 200 ქულა, ჩემპიონობა — 280 ქულა.

დავძენთ, რომ წყვილთა თანრიგში ტატიშვილ-ალექსა გლატჩას (აშშ) დუეტის პირველი მეტოქე მალეკ-მლადენოვიჩის ასევე ინტერნაციონალური გერმანულ-ფრანგული ტანდემი იქნება.

**მანუჩარ გიორგაძე**



კალათბურთი

# შემდეგი გაჩერება: სლოვენია

**„ევრო — 2013“-ის საკვალიფიკაციო რაუნდი ისე დასრულდა, როგორც ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეორედ გასულმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დაიმსახურა: მართალია, ჰოლანდიელებთან დასკვნითი ტურის შეხვედრა მოკლებული იყო მოტივაციას, მაგრამ გულშემატკივრებმა მაინც ბოლომდე შეავსეს თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნები და მხურვალე ქომაგობით გადაუხადეს მადლობა ბიჭებს. თავის მხრივ, არც ისინი დარჩენილან ვალში — ტრავმირებული ლიდერების ფაჩულიასა და შენგელიას არყოფნის მიუხედავად ბოლომდე ჯიგრიანად იბრძოლეს, რასაც შედეგად პირველი ლედის თვალწინ მისივე თანამემამულეებთან სტუმრად წაგებული მატჩისათვის აღებული ღირსეული რევანში მოჰყვა.**

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

**„დ“ ჯგუფი**

**საქართველო — ჰოლანდია 97:89 (25:21, 29:22, 18:16, 25:30)**

**საქართველო:** პულენი — 23, სანიკიძე — 22 ქულა, 13 მოხსნა, მარკოიშვილი — 22, ცინცაძე — 14 ქულა, 6 პასი, შერმადინი — 8, მეტრეველი — 4, ფაცაცია — 3, ბოისა — 1 ქულა.

**მწვრთნელი: იგორ კოკოშკოვი.**

**ჰოლანდია:** სმიულდერსი — 22 ქულა, 13 მოხსნა, სლაგტერი — 19, იენსენი — 18 ქულა, 6 პასი, ნორელი — 8, აკერბუმი — 7, დე იონგი — 5, კანინჰემი — 4, ტიუკენსი — 4, ჰულზებოში — 2 ქულა.

**მწვრთნელი: ვილემ იანსენი.**

**მსაჯები:** სტერენ რადოვიჩი (ხორვატეთი), გილი კოენი (ისრაელი), სერქან ელმექი (თურქეთი).



საოქმო მონაცემებიც მოწმობს, რომ მეტოქეებმა სატურნირო სტრატეგიისგან თავისუფალ მატჩში აქცენტი სანახაობრივ კალათბურთზე გააკეთეს, სადაც მასპინძელთა უფრო მაღალი კლასი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

რაც შეეხება სლოვენიაში გაისად სექტემბერში გასამართ ევრობასკეტს, მისი კენჭისყრა წლეულს 18 ნოემბერს მოეწყობა და სწორედ მაშინ შევიტყობთ „ჯვაროსანთა“ ბალკანური ბატალიების კალენდარს, დღეს კი უკვე შეგვიძლია კონტინენტური ფორუმის დანარჩენ მონაწილეებს გავეცნოთ: სლოვენია (მასპინძელი), დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ლიტვა (ლონდონის ოლიმპიადის მონაწილენი), საბერძნეთი, მაკედონია (იმავე თამაშების საკვალიფიკაციო რაუნდის მონაწილენი), ჩერნოგორია, გერმანია, ხორვატეთი, უკრაინა, ბოსნია, პოლონეთი, ფინეთი, იტალია, ჩეხეთი, ისრაელი, სერბეთი, შვედეთი, ლატვია, ბელგია, თურქეთი (შესარჩევი ტურნირის შედეგების მიხედვით).



**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ საზღვაო სეზონი მთავრდება

# აჭარას სულ უფრო მეტი ქართველი დამსვენებელი გაურბის



**საზღვაო სეზონი, პრაქტიკულად, დასრულდა და საკმაოდ არასახარბიელო შედეგით. არასახარბიელო სეზონური ბიზნესით დაკავებულთათვის, თორემ მთავრობას ქაღალდზე ყველაფერი მოგვარებული აქვს — აჭარა აშენებულია, ხოლო აჭარლები — გალაღებულები.**

**ბათუმის სასტუმრო „ბონში" აცხადებენ, რომ შარშანდელთან შედარებით მათთან ქართველი დამსვენებლის რიცხვი შემცირდა და თანაფარდობა უცხოელ და ქართველ ვიზიტორებს შორის დაახლოებით 70%/30%-ზე იყო.**

„გასულ წელთან შედარებით ტურისტების რაოდენობას შორის დიდი სხვაობა არ ყოფილა, თუმცა თუ შარშან აგვისტოში სასტუმრო ქართველი დამსვენებლით სავსე იყო, წლეულს უცხოელები ჭარბობენ", — აცხადებენ „ბონში".

ანალოგიური შეფასებები კეთდება ქობულეთის სასტუმროებშიც. სასტუმრო „მანგოს" წარმომადგენელთა განცხადებით, წლეულს მათ უფრო მეტ უცხოელ დამსვენებელს უმასპინძლეს, ვიდრე ადგილობრივს. ვიზიტორებს შორის რუსი, თურქი და ირანელი ტურისტები სჭარბობდნენ.

რუსი ტურისტების გაზრდილ მაჩვენებელზე საუბრობს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტიც. მათი განცხადებით, იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით აჭარაში მილიონ 300 ათასი ტურისტი შემოვიდა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 30%-ით აღემატება, ხოლო 2010 წელს — 75%-ით. 2011 წელთან შედარებით, რუსი ტურისტების რიცხვი 4-ჯერაა გაზრდილი.

აჭარაში თურქეთის მოქალაქეების ვიზიტის რიცხვი, როგორც გასულ წელს, ასევე მიმდინარე წელს, განსაკუთრებით მაღალია. 2012 წლის ივლისში აჭარაში 65 300 თურქი შემოვიდა, 2011 წლის ივლისში კი — 50 125. სომხეთიდან შემოსული ტურისტების რიცხვმა 2012 წლის ივლისში 39 749 შეადგინა, ხოლო 2011 წელს — 38 819.

ცენტრალური უწყებების შთამბეჭდავი ციფრების ფონზე, საკმაოდ მძიმე გამოიყურება იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებსაც ქობულეთის ტურისტულმა სეზონმა მოლოდინი გაუწბილა. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერის სერგო ჯავახიძის ინფორმაციით, ქობულეთში მოსახლეობის მიერ კომერციული ბანკებიდან აღებულ კრედიტებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება მძიმეა. როგორც ჯავახიძე აცხადებს, მოძრაობამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი, გამოიკვეთა 400 კრედიტორი, რომლებიც ჩავარდნილი ტურისტული სეზონის გამო, ვერ ასრულებენ ბანკების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

ამ მხრივ არსებულ პრობლემებს მძიმედ მიიჩნევს „ახალი მემარჯვენეების" აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პაატა მგელაძე, რომლის განმარტებითაც, მოსახლეობის შიში საფუძვლიანია და მათი მდგომარეობა არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდება.

რა თქმა უნდა, აჭარლების მდგომარეობა მძიმე იქნება, რადგანაც მათი ბიზნესი, ძირითადად, დამოკიდებულია ქართველი დამსვენებლების რაოდენობაზე. რამდენი უცხოელი (სომეხი, რუსი და აზერბაიჯანელიძ ტურისტიც არ უნდა ეწვიოს საქართველოს შავი ზღვისპირეთს, მათი წილი ტურისტთა საერთო ოდენობაში მაინც მცირე იქნება. ამიტომაც გადამწყვეტი ადგილობრივი დამსვენებლები და მათ მიერ დახარჯული ფულია.

ამ კუთხით კი მაინც და მაინც სახარბიელო სიტუაცია არ არის. მუდმივი გაძვირების (როგორც სასტუმროებისა და კერძო ბინების, ასევე მომსახურებისძ, უამინდობის და შეუსაბამო კომფორტის გამო, სულ უფრო მეტი ქართველი ტურისტი იმზირება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. წლევანდელი წელიც გამონაკლისი არ ყოფილა. უფრო მეტიც, ამ ჯერზეც უცხოეთში დასვენების მსურველებმა მოიმატა. შესაბამისად, ქობულეთს და ბათუმს, ადგილობრივი კონტინგენტი დააკლდა.

თურქეთი, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, ეგვიპტე — წელსაც ქართველმა ტურისტებმა უპირატესობა ამ ქვეყნებს მიანიჭეს. როგორც ყოველთვის, მათ შორის ყველაზე პოპულარული კვლავაც თურქეთი აღმოჩნდა.

„საქართველოში, ზღვისპირა კურორტებზე ფასები ძალიან მაღალია, მომსახურება კი ნულს უტოლდება. ამის გარდა, იყურები ცაში, როდის გაგიწვიმდება, ხოლო ის სასტუმროები, სადაც კომფორტია, ძვირია", — აცხადებს ტურისტული სააგენტო „გლობალ თრეველის" მენეჯერი თინათინ მარგალიტაშვილი.

მისი ინფორმაციით, ქართველები თურქეთისა და ეგვიპტის კურორტებს ხელმისაწვდომი ფასებისა და მეტი კომფორტის გამო მიმართავენ.

**ეკა ბაქრაძე**
For.ge

## ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიასა და მსოფლიო ხალხთა პოეტურ თარგმანებზე.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით — ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი, დევიზი (კონვერტს უკეთდება მინაწერი: „კონკურსისათვის" და დაუშვებელია მიეთითოს ავტორის ვინაობაძ.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" თანამშრომლებისა და სარედაქციო საბჭოს წევრებისა.

**დაწესებულია პრემიები":**

**(პოეზიაში)**

**ერთი სპეციალური პრემია** — საქართველოს პირველი ლედის — სანდრა-ელისაბედ რულოვსისაგან;

**პირველი პრემია** — 1000 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;

**ორი მეორე პრემია** — 500-500 ლარი — საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვსისა და ა(აძიპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისაგან;

**ორი მესამე პრემია** — 300-300 ლარი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაისაგან";

**(თარგმანებში)**

**პირველი პრემია** — 500 ლარი — საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ალგადი ბისიაისაგან";

**მეორე პრემია** — 300 ლარი — სსიპ ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯისაგან;

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2012 წლის ოქტომბერში — საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვსის პატრონატით ჩატარებულ „პოეზიის დღის — შოთაობის" ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე.

საკონკურსო ლექსები და თარგმანები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით, ხელნაწერი არ მიიღება.

კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში".

**საკონკურსო მასალა, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა და თარგმანისა, უნდა გამოიგზავნოს 2012 წლის 7 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე: 0500, ასპინძის რაიონი, დ.ასპინძა, თამარის ქუჩა 33.**

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია. ტელ: 599 97-95-24.**

◎ შეუცნობელი

# კუნძულელი ფრანკენშტაინები

**ბრინჯაოს ხანაში დამარხული ქალისა და მამაკაცის სხეულები სხვადასხვა ადამიანთა სხეულების ნაწილებისგან ყოფილა შემდგარი!**

**ეს იდუმალი ჩონჩხები ბრიტანელმა არქეოლოგებმა ატლანტიკის ოკეანეში მდებარე კუნძულ საუთ-იუსტზე გათხარეს, რომელიც შოტლანდიის ნაპირებთან არქიპელაგ მცირე ჰებრიდებში შედის.**

ბრინჯაოს ხანის ნანგრევებიდან მეცნიერებმა ოთხი სხეულის ნაწილები ამოიღეს, რომელთა ასაკი დაახლოებით 3 ათასი წლით დაათარიღეს. ნაგებობა უძველესი დასახლების კლად ჰალანის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მაგრამ მოზარდი გოგონასი და სამი წლის ბავშვის მუმიფიცირებულ სხეულებს მეცნიერთა ყურადღება მაინცდამაინც არ მიუპყრია — ისინი მხოლოდ იმას მოწმობდნენ, რომ მუმიებს არა მარტო ძველ ეგვიპტეში აკეთებდნენ: ისინი იმით გაოცდნენ, რომ ორი სხვა სხეული როგორც ერთ-ერთმა მკვლევარმა, შეფილდის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა მაიკლ პარკერ-პირსონმა განაცხადა, სხვადასხვა ადამიანების სხვადასხვა ნაწილებიდანაა კონსტრუირებული, რამაც მეცნიერები შოკში ჩააგდო. **მკვლევარებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ერთბაშად ორ ფრანკენშტაინს მიაგნეს!**



**მამაკაცის მუმია სამი სხეულის დეტალებიდანაა შედგენილი: ერთისგან მას ტორსი ერგო, მეორისგან — თავი და კისერი, მესამისგან — ქვედა ყბა, რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, ქალს ეკუთვნოდა. ქალის მუმიის შემქმნელებმა სხვადასხვა ქალის ყბა, თავი და ფეხები „შეუყენეს", ხელებში კი მუმიას ზედა ყბიდან ამოღებული თითო კბილი ეჭირა.**

ორივე მუმია სამარხში ჩანასახის პოზაში, მკერდზე მიბჯენილი მუხლებით იწვა. უცნაურობა ასევე იყო ისიც, რომ სხეულები გარდაცვალებისთანავე იყო მუმიფიცირებული, ხოლო ფრანკენშტაინებად სიკვდილიდან ერთ წელში გადაიქცნენ. მაგრამ **იმ ადგილას, სადაც მათ მიაგნეს, ისინი... გარდაცვალებიდან მთელი 600 წლის შემდეგ გადაასვენეს. ამასთან, მამაკაცის მუმიის „აწყობა" ჩვენ წელთაღრიცხვამდე 1440-1130 წლებში უნდა მომხდარიყო. ეს სწორედ ის დროა, როცა ეგვიპტეში ფარაონი ტუტანხამონი გარდაიცვალა.**

— ვადების გადაკვეთა, რა თქმა უნდა, არის, — ამბობს დოქტორი პარკერ პირსონი, — მაგრამ, როგორც ჩანს, სხეულები მაინც სხვადასხვა დროს იყვნენ კონსტრუირებული.

რაშია საქმე, რა საჭირო იყო ბრინჯაოს ხანაში ფრანკენშტაინების შექმნა? თანაც მერე მათი იმ სახლის ფუნდამენტში ჩამარხვა, რომელიც ამ ამბიდან ათასი წლის შემდეგ აშენდა? ბუნებრივია, მეცნიერებს ამ საკითხების გარკვევა დიდად აინტერესებთ, მაგრამ მკაფიო პასუხის მიღება, ჯერჯერობით მაინც, ვერ მოხერხდა, არის მხოლოდ გარკვეული ვარაუდები.

ერთ-ერთი ჰიპოთეზით, **სხეულთა კონსტრუირების მისტიკური არსი რამდენიმე გვარის გაერთიანების სიმბოლოს წარმოადგენდა.** ანდა, სულაც მათ შერიგებას ნიშნავდა. ამ მეთოდიკით რომ ეხელმძღვანელათ, მონტეკებისა და კაპულეტების ოჯახებს შეეძლოთ ფრანკენშტაინების გაკეთება რომეოსა და ჯულიეტას, ასევე მერკუციოსა და ტიბალტის მუმიებისგან და მათ მრავალწლიანი ქიშპობისთვის ბოლოს მოღება.

მეორე, ასევე სავსებით სერიოზული ჰიპოთეზით, **მუმიად შეკრული რამდენიმე წინაპრის ნეშტი გარკვეული საკუთრების, ვთქვათ, მიწის ან სახლის ფლობის რაღაც დოკუმენტის მსგავსს წარმოადგენდა.** მაგრამ რატომაა, რომ ქალის მუმიას ხელებში კბილები ჩაუდეს?

გამოკვლევები მას შემდეგ მიმდინარეობს, რაც იდუმალი განამარხება 2012 წლის დამდეგს აღმოაჩინეს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სხეულთა მუმიფიცირებისთვის ძველი ბრიტანელები ჭაობის ტორფს იყენებდნენ, რომელიც საუცხოო კონსერვანტია.

ამდენად, სხვა ჰიპოთეზები სხვადასხვა სხეულის ნაწილებიდან ერთი სხეულის კონსტრუირების თაობაზე არ არის, მაგრამ არის ეჭვი, რომ კლად ჰალანის ფრანკენშტაინების მსგავსები კიდევ მრავლად უნდა იყოს. კერძოდ, 2009 წელს არქეოლოგმა მარტინ გრინმა დოსეთშირის საგრაფოში მუმიების ძვლები ამოთხარა, რომელთა კიდურების ძვლები გაბურღული იყო. აშკარაა, რომ მათ ერთმანეთზე გადაბმას თოკებით აპირებდნენ. ამჟამად ამ ძვლების დნმ-ს ანალიზს ატარებენ იმის დასადგენად, ისინიც შედგენილები ხომ არ არიან.

**ნინო ალექსანდრია**

ჩხეიძეთა საგვარეულო სახლი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, მრავალი გამოგონებისა და ჯილდოს მფლობელი, ჰიდროელექტროსადგურების საპროექტო სამუშაოების თანაავტორი, შესანიშნავი ადამიანი, ღირსეული და კეთილშობილი პიროვნება

**ვახტანგ ჩხეიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ნათელა ზარდიაშვილი, მარინე რევია, ლია დგებუაძე, ნინო ზამბახიძე თანაუგრძნობენ მზია აფრიდონიძეს და თიკო ქოიავას

**დედისა და ბებიის**

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

## ველისციხეს მგლები შეესივნენ

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მგლები ომარაშვილების კუთვნილ ცხვრის ფარას გუშინ გამთენიისას დაესხნენ თავს.

მგლებმა 9 სული ცხვარი შეჭამეს, ხოლო 45 ცხვარი დაგლეჯილია. სოფელში ამბობენ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მგელი სოფელს ესხმის თავს და ადგილობრივები ხელისუფლებისგან სამონადირეო ჯგუფების შექმნას ითხოვენ.

როგორც დაზარალებული ოჯახის წევრები აცხადებენ, დაახლოებით 5 მგელი იყო და ამ თავდასხმის შედეგად 7 000 ლარის ოდენობის ზარალი მიიღეს.

ინტერპრესნიუსი



დედაქალაქი

# ხეები გზის გასწვრივ

**დრო გადის და თბილისის უბნებს შორის, რომლებიც ერთმანეთის გვერდით კი არიან, მაგრამ ადრე ერთიდან მეორეში მოსახვედრად კაი დიდი დრო იყო საჭირო, რადგან მისასვლელი გზა შორი იყო, ახლა ერთმანეთს თითქოს უფრო დაუახლოვდნენ, იმიტომ რომ მათ შორის ახალი გზები გაიჭრა.**



ბოლო ხანს დედაქალაქში გახსნილ რამდენიმე ახალ გვირაბს ორიოდე დღის წინათ კიდევ ერთი მიემატა – იყალთოს მთის ქვეშ 210 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა მაგისტრალი ამოქმედდა, რომელიც ბახტრიონისა და საბურთალოს ქუჩებიდან ვაკეში რამიშვილის ქუჩასა და ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიაზე მოხვედრის საშუალებას იძლევა.

უნდა ითქვას, რომ იყალთოს გვირაბი, რომელიც დედაქალაქში სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგებისა და მოხერხებულობის მიზნით გაკეთდა, საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით აშენდა. იყალთოს გვირაბის პარალელურად, ყოფილი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოთხი ახალი სატრანსპორტო კვანძი მოეწყო, რომლებზეც სატრანსპორტო კუნძულები გაკეთდა, სავალი ნაწილით კი ტროტუარებისგან ბორდიურებით გამოიყო, კოპწია ლამპიონებით დამშვენდა.





დედაქალაქის სატრანსპორტო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ ამ მნიშვნელოვანი კვანძის ამოქმედებას ერთი განსაკუთრებული გარემოებაც ახლავს, რომელიც საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ. იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტისთვის ახალი გზა-სავალის გაყვანას არაერთი მარადმწვანე, ლამაზი ხე უნდა შეწიროდა, მაგრამ მშენებლებმა ბევრი მათგანი სპეციალური მანქანებით ძირიანად ამოიღეს და იქვე შორიახლოს გადარგეს, დაზერებულები მოჭრეს, მათ მაგივრად კი გამწვანების სამსახურმა ახალი ნერგები დარგო.

გმადლობთ, ამისთვის!

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### „მესოფლია“

– მე რომ მკითხოთ, სააკაშვილი მესოფლიაა, – მიაჩნია მხატვარ თემო გოცაძეს, ადრე საქართველოში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ, „გულაობდნენ“ და არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ სახელი ჰქონდათ და ქორწილებსა და დღესასწაულებზე იმიტომ ეპატიჟებოდნენ, რომ შესახედავად ვარგოდნენ და დალევაც იცოდნენ, მაგრამ ასეთ „მესოფლიაობით“ ქვეყანა არ შენდება.

**„ქართული სიტყვა“**

### „ჩვენთვის უკვე ცნობილია არჩევნების გაყალბების მექანიზმი“

– აცხადებს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე, – ჩვენ თითოეულ პრობლემას ვსწავლობთ, ვინ არიან საუბნო კომისიებში? ესენი, შევარდნაძის პერიოდიდან რომ მოდიან, ისეთი ადამიანები არიან, რომლებმაც კარგად შეისწავლეს გაყალბების მექანიზმი, ამის შემდეგ არც შეცვლილან და ფაქტობრივად დანიშნული პირები არიან, უკვე ჩამოყალიბებული გამყალბებელთა ჯგუფი. თუმცა ჩვენ მზად ვართ და ბევრი სიურპრიზიც ელოდებათ. ასევე არის ბევრი მოსყიდვის ფაქტები და ჩვენ ვმუშაობთ ამ მტკიცებულებების შეკრებაზე.

**„ახალი თაობა“**

### უზბეკეთის პრეზიდენტმა ცენტრალურ აზიაში მოსალოდნელი ომის შესახებ განაცხადა

უზბეკეთის პრეზიდენტმა ცენტრალურ აზიაში წყლის რესურსების უკმარისობის გამო სამხედრო კონფლიქტების დაწყების შესახებ გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა. ისლამ კარიმოვის განმარტებით, წყლის რესურსები უახლოეს პერიოდში, შესაძლოა, რეალური პრობლემა გახდეს, რაც დაძაბულობის ესკალაციას გამოიწვევს არა მხოლოდ რეგიონში, არამედ კონტინენტზე. „მე არ დავასახელებ კონკრეტულ ქვეყნებს, თუმცა, ყველას შეუძლია განსაზღვროს, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ სერიოზული დაპირისპირება“, – აღნიშნა კარიმოვმა.

**„საქართველოს და მსოფლიო“**

### მოხსნიან თუ არა არჩევნებიდან გიორგი კარბელაშვილს არასამთავრობოების საჩივრის საფუძველზე?

„ნაციონალური მოძრაობის“ ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი კარბელაშვილი სკანდალში გაეხვა. კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში წმინდა ძმების – კარბელაშვილების ხსენების დღეს, გიორგი კარბელაშვილმა ყვითელი ავტობუსებით საკუთარი მხარდამჭერები ჩაიყვანა და დაახლოებით 500-კაციანი სუფრა გაშალა. ეს ამომრჩევლების პირდაპირი მოსყიდვის მცდელობაა, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ისჯება. ამასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აუდიტის სახელმწიფო სამსახურს მოახსენეს.

**„ვერსია“**

### დემოკრატიით დატანჯული

სააკაშვილის ტრაგედია არ არის, რომ ის დაბადებით არ არის დემოკრატი. დემოკრატობაც თანდაყოლილ ღვთით ნაბოძები ნიჭია, დემოკრატებად იბადებიან ისე, როგორც იბადებიან მუსიკოსებად, მხატვრებად, პოეტებად... მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიით დატანჯული კაცია, რადგან ის იძულებულია, ხანდახან მაინც მოიქცეს ისე, თითქოს დემოკრატი იყოს და აკეთოს ის, რისი გაკეთებაც მის შინაგან ბუნებას რადიკალურად ეწინააღმდეგება.

**„საერთო გაზეთი“**

კადრი



ანეკდოტები

**პაციენტი** ეუბნება ქირურგს:

– ოღონდ გადამარჩინეთ და ბევრ ფულს გადაგიხდით.

– არა, ჯერ ფული! – კატეგორიულად განაცხადა ექიმმა და თან თავისთვის ჩაილაპარაკა, – მერე წვანან კუბოში და ვითომ ვერ მცნობენ.

* * *

**მამა** შვილს საყვედურობს:

– შე უსაქმურო შენა, მე შენს ასაკში ღამღამობით ვაგონებს ვცლიდი, – და ცოტა დარცხვენილი ტონით გააგრძელა, – ხო, სანამ არ დამიჭირეს!

* * *

**დედა** თავის გასათხოვარ გოგოს ეუბნება:

– ეს შენი ახალი მეგობარი ბიჭი ისე მომეწონა, სიამოვნებით გავხდებოდი მისი სიდედრი.

* * *

**გამომძიებელი** ეკითხება ბრალდებულს:

– ეს დანა გეცნობათ?

– კი, მეცნობა.

– აჰა, ესე იგი, გეცნობათ.

– ხო, აბა რა იქნება, უკვე მესამე კვირაა ყოველდღე მაჩვენებთ.



* * *

– **ჩემი** სიდედრი იდეალური ქალია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს.

– რა ნაკლი?

– სუნთქავს.

* * *

**სიტუაცია** ჯარში:

– კაპრალო, ხერხეულიძე, გამოდით მწყობრიდან! – გასცა ბრძანება უფროსმა.

კაპრალი უგონოდ ეცემა მიწაზე.

– რა მოუვიდა? – კითხულობს უფროსი.

– მწყობრიდან გამოვიდა.

* * *

**ორი** ექიმი საუბრობს:

– გაიგე? ჩვენი კოლეგა გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან.

– რისთვის?

– პაციენტის გაუპატიურებისთვის.

– სამწუხაროა, კარგი ვეტექიმი იყო.

* * *

**დიდუბიდან** მეტრო დაიძრა თუ არა, სვანი დაიხარა და შარვალი აიკეცა.

– რას აკეთებ? – კითხა მეგობარმა.

– შემდეგი სადგური „ღრმაღელეო“ და...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24